# ცისკარი.

ქართული სიტყვიერებითი

ჟურნალი.

სეპტენბერი.

1852 წელს.

№ 9

1852 წ. იანვარი

# ცისკარი

№ 1.

ქართული

სიტყვიერებითი ჟურნალი.

---

ქართულთ ლექსთა-თხზ[illegible]

ეჰა სიცოცხლე მკლების,
ჭმუნვის მახვილი მსლების,
გლახ გული დამწყლულების,
თვალ ლამაზო მოვედ, ბეკლუც ნაზო მოვედ,
შემკული ხარ ტანად პირად,
ტრფიალთა ხმას სცემ დიახ ძვირად.
ეს ნუგეშს გვცემს ვა რა მცირად.

თვალ ლამაზო მოვედ, კეკლუც ნაზო მოვედ,
მარგალიტ გიქებ ხალებსა,
ვინ მხილველთ ჰკურნებ წყლულებსა,
შენ განაცვალებ სულებსა,
თვალ ლამაზო მოვედ, კეკლუც ნაზო მოვედ.
უძვირფასეს გაქვს ლალები,
ვის ჩემსად მკვლელად თვალები,
ცეცხლსა მიდებს მე ხალები,
თვალ ლამაზო მოვედ, კეკლუც ნაზო მოვედ.
ედემსა ვარდნი შლილობენ,
მაზედ ბულბულნი ყრილობენ,
ურთი ერთისად ცილობენ,
თვალ ლამაზო მოვედ, კეკლუც ნაზო მოვედ.

თავადის ოთარ ქობულოვისა

ბრწყინავს მნათი მზებრ ნათობ,
კეკლუცობით მოკამათობ,
მხილველს აკრთობ ყელ ბროლ სათობ,
შეუპყრივარ შენსა ალებს,

გიქებ თვალებს,
ეშხით მთვრალებს,
ზილოვ ლალებს,
სუმბულ ცალებს,
ვიშ ვიშ ხალებს.

მსურს შეგიმკო ლაწვი ბაგე,
თუმცა ეშხით არ დამდაგე,

ასპიროზო მოვე მარგე,
გარდიხდიდე შენსა ალებს,
გიქებ

გული კვნესის უშენობით,
ჭუბიდონობ ლახვარ სობით,
მომალხენდენ თამაშობით,
ნუ ისმარებ ჩემზე ძალებს.

გიქებ თვალებს,
ეშხით მთვრალებს,
ზილფ და ლალებს,
სუმბულ ცალებს,
ვიშ ვიშ ხალებს.

წალკოდს ვარდი გაიშლები,
მე ბულბული შევიშლები,
გნახამ ტანში დავიშლები,
როს მოირტყამ წელზედ შალებს.
გაქებ

ვარ შენს გზაზე მოარული,
მით არა მაქჳს თვალთა რული,
სიტყჳა გკადრე დაოვარული,
თუ არ შენ ვინ შემიბრალებ,

გიქებ თვალებს,
ეშხით მთვრალუბს,
ზილფ და ლალებს,
სუნბულ ცალებს,
ვიშ ვიშ ხალებს.

თ. ოთარ ქობულოვის.

ჴელმწიფა წიგნს იწერება,
მისგან ვარდი იფერება,
მით გულს შვებას იღერება,
ნუ სტირ საყვარელო

სოფლის საქმეს უპყარ ყური,
არ ვინ გვიდგას მახით შური,
სხჳა მიჯნურთა დასაშური,
ნუ სტირ საყვარელო
მთვარე მანათი ბნელისა,
ალვებრ მამძრავი წელისა,
ნახვით მკურნალი სენისა,
ნუ სტირ საყვარელო
ვსთხოვზილფ ქამანდათ სროლსა,
მით შვების ნიავ ქროლსა·
გარდაჭდას ყელსა ბროლსა,
ნუ სტირ საყვარელო
გიხმობ სუნელ წალკოტ ბაღად,
ყვავილოვანით გაქჳს გულ დაღად,
მოვალ მსხემო ჴსწუსარ რაღად,
ნუ სტირ საყვარელო მოვალ,
არ გყოფ მარად ნახვის მთხოვარ.

თ. თამაზრქობულოვისა.

—

შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული,
სევდამ უწყალოდ მიმატა წყლული,

არ გესმის მნათი შენებრ ნასული,
მანათობელი ჭერთა სული,
მის გამო მე მაქჳს სურვილი,
        შენდა შეყრამდის.

ვგონებ ყოველ ჟამ დღენი ბნელობდეს,
მშვილდი გაზიდვით ორად გველობდეს,
ინდოთ ლაშქარნი წყობით მცჳწლობდეს,
სხჳათა ისარნი ჩემებრ მწველობდეს,
რად გსურს მიჯნური შენთვის ხელობდეს,
შენთვის გაჭრილსა მაქჳს ალსასრული,
        შენდა შეყრამდის.

ვარდსა ვადარე ლაწვის ფერია,
მიხაკათ ბაგე დამიწერია,
სუმბულთა ქარის მოუბერია,
ბროლისა მკერდი შესაფერია,
შენზედ იადონს არ უმღერია,
მისთვის სცვენითა გალხენს ბულბული,
        შენდა შეყრამდის.

ზენარს ვფიცავ ვინც მოგშორდება,
უშენოდ ლხინი არ შეერგება,
აჰა მიჯნურსა მოეცინება,
ლახვარი გულსა განეწონება·
შვიდთა მთიებთა სურს შენი სლება,
შენსა შორს მყოფსა ამამდის სული,
        შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული,
        სევდამ უწყალოდ მიმაცა წყლული.

თ. ბარამ ბარათოვისა.

# სიძე ამისთანა უნდა.

---

## ანბავი (ბერნარისაგან).

### ა.

ერთს საზაფხულო არა დიდს სასტუმრო ოთახში, საიდა-ნაც დაინახებოდა მდინარე სენა და მედონის მთის სიმაღლენი, იყო კარგი გაჩაღებული ლაპარაკი ორთა პირთა შორის. ლაპარაკობდენ ორმოცდა თხუთმეტის წლის მამაკაცი, მშვიდის სახისა, ეცვა განიერი ტანთ საცმელი, იმისთანა, როგორიც უყვარსთ მოხუცთა, და დედაკაცი ათის წლით უნცროსი; გამო-რჩევით ჩაცმა მისი ამტკიცებდა, რომელ თავმოწონება (**ко-кетство**) არა ბერდება ვითარცა სიმშვენიერე.

— აბა ჩემო სულო, ეგ არ შეიძლება.

— შეუძლებელი არა არის რა.

— თქვენ არ გინდათ რომ გაიგოთ, რომ ეს საქმე არის დამოკიდებული წმინდა ვალდებულებასა ზედა.

— სიყმაწვილეა, განა შინაურს ცხოვრებაში მაგისთანა უბ-რალო საქმეს ყურს უგდებენ?

— უკაცრავათ ნუ გახლდები მოგახსენოთ, რომ სრულებით სიყმაწვილე არ გახლავთ, ეს ძალიან მძიმე საქმეა. რაც ჩვენი

ადოლფინა მივეცით შოდიეს, მაშინ ჩჳენ დაუნიშნეთ მას ორმოცი ათასი ფრანკი, რომელიც უნდა მიგვეცა კიდეც სამთვეს უკან, შემდეგ პირობის წერილის ხელის მოწერისი; აი ხუთმა თვემ გაირა და შოდიეს ჯერ ერთი სუ, გროში არ მიუღია.

— ეგ დიდი რამ შესაწუხებელია! განა ადოლფინა ჩჳენი მემკვიდრე არ არის, იმის მეტი ვინა გჳყავს, შემდეგ ჩჳენის სიკჳდილისა, სულ მაგას არ დარჩება?

— შემდეგ სიყვარულისა! ჩჳენ მადლობა ღმერთსა, მგონი ჯერ მაგაზედ შორსა ვართ. მანამ მე მოვალე ვარ ჩემის ხიძისა, და ჰსწორე უნდა გითხრათ ძალიან მცხვენიან, რომ აქამდინ არ მივეც ის ორმოცი ათასი ფრანკი! საწყალი შოდიე ვერა ჰბედავს თქმასა, მაგრამ დარწმუნებული ვარ რომ უარს არ იტყვით იმ ფულისას. ეს სახლი მგონი იაფათ არ დაუჯდა და იქნება იმედი ჰქონდა იმ ფულიდან გადიხდიდა ცოტა რასამე ნაწილს.

— მითომ რა დიდი საქმე იქნება, რომ ცოტა მოითმინოს.

— დიახ რატომ, თქჳა უ. ბელიელ მძიმეთ.

— მითომ ბენუა შოდეს მეტს საქმროს ვერ უშოვნიდით ადოლფინას?

— რა საკვირველია გამოსჩნდებოდენ, მაგრამ აი ორი თვე გავიდა რაც უნდა ჩჳენგან ფული მიეღო; ჩემთვის ძალიან საწყინო იქნება, თუ მთხოვა ფული და მე არ შემეძლება და კმაყოფილებ კანონიერს თხოვნაზე.

— ნეტავი არ მინდა! მაშინ ვნახავ თუ მართლა გაბედა მაგისთანა სიბრიყვე, მიუგო სიმკაცრით ცოლმა ბალიელისამ

მე იმას ვასწავლიდი როგორ უნდა მოიქცეს ამისთანა ხალხთან, როგორც ჩუენა, მაგრამ თქუენ ტყუილათ ჰსწუხსართ. შოდიე არას დროს მაგისთანა სიბრიყვეს არ იხმარებს; მაგ შემთხვევაში მე ძალიან დარწმუნებული ვარ იმაზედ, რომ მეტი არ იქნება.

— მაგისთჳს მრცხვენიან კიდეც, რომ შოდიე ჰსწორედ ერთი საწყალი ცხვარივით კაცია, მიუგო მოხუცმა.

— მგელი რომ იყოს, მგონი მაშინ უფრო შეგრცხვებოდათ..... გარნა ამ უბრალო ბაას, ჰსჯობს რომ საქმეზე მოვილაპარაკოთ. ორმოცი ათასი ფრანკიდან, რომელიც ჩუენ გვმართებს შოდიესი, თქუენ ათი ათასი მიეცით, სამი თჳს წინათ, უფალს ლაბუასიერს, რომელსაც უნდა რომ მოიხმაროს წინაგანზრახვისათჳს და გპირდებით მოგცესთ ათის თავი მაინც უეჭველი შემოსავლიდგან. დღეს კიდევ ითხოვს უფალი ლაბუასიერ იმავე პირობაზე, ათი ათას ფრანკს და მე იმაზე პირობა მივეც. ხომ არ გინდათ რომ თქუენმა ცოლმა თავის მიცემული სიტყუა არ აღასრულოს?

— მე მაგას როდი გეუბნები ჩემო საყვარელო! მიუგო მოხუცმა, შეშინებულმა ცოლის შეხედვისაგან:— მე თანახმა ვარ ყველაზე რაც შენი ნებაა. მაგრამ შოდიე ძალიან მაწუხებს.

— თქუენ ყველაფერი გიწუხებთ. იცი რა უნდა მოახდინოთ? შოდიეს ორმოცი ათასი ფრანკის მიცემის მაგიერ, თქუენ სარგებლათ აძლიეთ ფულიდან, რომელსაც ლაბუასიერს მისცემთ, ორი ათასი წელიწადში, მაგაზე აბა რას იტყჳს? ეგრე თქუენ მოგებაში იქნებით ორი ათასი ფრანკით. ვგონებ ეს ძალიან ადვილი მისახვედრია.

— რა საკვირველია; მაგრამ მე ვერა ოდეს ვერ გავბედავ მაგისთანა პირობა გამოუცხადო ჩემს სიძეს.

— ეგ ჩემი საქმეა.-

— და მერე სიმედოა ის პარახოდები? (*)

— დიაღ სიმედოა, ამისთჳს არას დროს არ წახდება.

— პარახოდები არ წახდება! მაგრამ ფული აუკციონერებისა?

— ეგ სხვაა! თქჳენ პატიოსან კაცად რაცხთ ლაბუასიერს?

— რა საკვირველია.

— იქნება თქჳენ გეგონოთ, რომ ის ცუდ განზრახვაში ბრევდეთ?

— მე მაგას როდი ვამბობ....

— შავია, რადგან მე გეუბნებით რომ თეთრია, ეგ თქჳენი მუდმითი ჩვეულობაა. მე მგონი ავათ გახდებოდით, რომ შემთხვევით თანახმა შეიქნეთ ჩემი.

— ვგონებ ყოველთჳს' იმაზე დაბოლოვდება, რომ თანახმა შევიქნები ხოლმე შენი უთხრა ქმარმა; მძიმეთ ამოოხვრილმა.

— აბა რა გენაღვლება, რახან ეგრე იყო, ბოლოდან დაგუვეწყო! ტყჳილს ბაას გადავრჩებოდით ხომა; ახლა მგონი მორჩით, და ჩჳენ შევრიგდით. ეგ არის გადაწყვეტილია, თქჳენ მისცემთ ათი ათას ფრანკს უფ. ლაბუასიერს. მართალათ დღეს ჩჳენთან მოვა და თქჳენ ერთი პატარა ბარათის მეტი არა მოგინდება რა მისწეროთ თქჳენს ნოტარიუსთან.

უფ. ბალიელმა გაიარა რამტენჯერმე ოთახში თავდახრილ-

---

(*) ცეცხლის გემი.

მა, როგორათაც ძაღლმა, რომელიც კიდევა ჰგრძნობს ახალს ნაცემობას. ერთის მინუტის შემდგომ, ცოლის წინ დადგა ის და გაუბედაობით შემხედველმა ჰკითხა ნელის ხმით:

— განა დღეს სადილათ ჩუჱნთან იქნება ლაბუასიერ?

— რაო, თქუჱნ არ გესიამოვნებათ? ცივათ მიუგო ცოლმა.

— მე მაგას არ ვამბობ ლაბუასიერ მხიარული ყმაწვილი კაცია სხვაგან, სადმე ყოველთჳს, დიდი კმაყოფილება იქნებოდა იმისი შეხვედრა, მაგრამ ეს მე და შენში დარჩეს, ჩემთჳს უსიამოვნეს იქმნებოდა, რომ აქ ხშირათ არ დადიოდეს.

— რატომ მითომ?

— თუ გასჯავრდები მე აღარას ვიტყვი.

— მითომ როდისა ვჯავრობ ხოლმე! უთხრა ცოლმა, რომლისა ხმა ყოველ პასუხზე აიწეოდა თითო ოვარდის ზეით.

— მე მაგას არ ვამბობ.

— დაიწყევით, კიდეც გაათავეთ; რა უნდა გეთქვათ ლაბუსიერზე?

ამასიტყვებისა შემდგომ, ბალიელის ცოლი ცოტა გაწითლდა, რომელიც განსაკვირვებელ იყო ამისთანა ხნიანის გვამისაგან და იმის ხასიათისაგან.

ქმარმა გართულმა, რომელიც ცდილობდა, რომ ეპოვნა ღონის ძიება რამე დასამშვიდებლად ცოლისა, სრულებით ვერ შეამცნია აღრევა იმისა.

— მე მითომ წინააღმდეგს რას ვამბობ ლაბუასიერისას! წარმოსთქუა ქმარმა.— არას დროს! მე შენ გარწმუნებ! დასამტკიცებლად თუ გინდა კიდევ მივსცემ ათი ათას ფრანკს

რაცა მე საკუთრივ შემეხება იმასთან საყვედური არა მაქვს რა, მაგრამ. . . . ბოლოს, შენც მგონი მიხვედი, რაც მინდა ვსთქვა.... ადოლფინას ანგარიშზე....

— მარტო თუ ეგ არის.

— მგონი საწყალი მოდიესთჳს ეგეც მომეტებული იყოს.

— თქვენ სრულებით უაზროთ ლაპარაკობთ. მართლა ადოლფინას ქორწილის წინ, უფ. ლაბუასიერი მოდიოდა ჩვენთან ამისთჳს, რომ ენახა ადოლფინა და ძალიანაც სურდა, რომ ამას,. შეერთო.

— შენ რომ თანახმა ყოფილიყავ, საქმე გათავებული იყო.

— ქალის შესაფერი არ იყო.

— ვაი დროს! მე ეხლაც მაგას გშიშობ და ვამბობ რომ უმფრო ეხლა არ არის იმ ქალის შესაფერი ისა.

— უფალო ბალიელ! უთხრა ცოლმა მრისხანის ხმით.

— მე ვიცი, რასაც ვამბობ მიუგო მოხუცმან, წინააღმდეგ ჩვეულებისა საკმაო გამბედავის სიტყვითა. შენი ეშინიან და მისთჳს შენთან ფრთხილობენ: გარნა მე მიყურებენ როგორ-ღაც საწყალ კაცათ, რომელიც ვერა ხედავს უშორეს თავის ცხვირისა, და რაკი შენ მიისედავ ხოლმე იქით, მაშინ ისინი მე სრულებით ყურს არ მიგდებენ.

მიუხდომელი ცვლილება მოხდა უცებ სახესა ზედა ბალიელის ცოლისა: მშვენიერე, ცივი იჭვი ადენთო მომეტებულის ად-შფოთების წილ. ლოყები გაუწითლდა, თვალები გაუბრწყვი-ალდა და კისრის ძარღვი გაუგანიერდა იქამდე, რომ კისერი და ყელი გაულურჯდა მსგავსად ინდაურისა. რა ნახა უფალმა ბა-

ღიელ საშინელი მოქმედება მისგან წარმოებული, უკან ჩამოდ-
გა რამტენიმე.

— მითხარით, სთქვით! რა ნახეთ? ჰკითხამდა გაანჩხლე-
ბული ცოლი გაწყვეტილის ხმით.

— ჯერ დამშვიდდი, ჩემო სულო! ქალის სიყვარული საქმ-
ბია; მაგრამ ადოლფინა ახლა უმაწვილი არ არის. მაგრამ. . .

— თქვით მეთქი!.... პასუხი მომეცით გააშკებინა ცოლმა
მაღალის სიტყვით.

— რა გინდა? ლუღლუღებდა უფ. ბალიელ, რომელიცა უმე-
ტეს ირეოდა რამტენიც სიანჩხლე მეუღლისა მის ემატებოდა:—
მე იმისა მეგონა, რომ რამთვენჯერმე გნახე.... მართლა ვნახე
თუ არა.... იქნება ისე მეჩვენა რომ ლაზუასიერ არამც თუ.
ალარა ჰფიქრობს ჩუენ ქალზედ, როგორც შენ ამბობ, მაგ-
რამ წინაალმდეგ უმეტეს ჰფიქრობს ახლა მინემ ოდესმე. ძა-
ლიან საწყინო იქნება, მეტადრე საწყალი შოდიესათჳს. ბო-
ლოს ადოლფინა.... ჩემი ქალი ადოლფინა მინდა მეთქჳა.—
ძალიან კურკურობს ლაზუასიერთან; ბევრჯელ დავაპირე მეთ-
ქჳა იმისთჳს.

— ეგ თქჳნი საქმე არ არის, მხოლოდ ჩემია, არ გაათა-
ვებინა ცოლმა.

— ძალიან მოხარული ვარ. ჩემთჳს უსიამოვნო იყო ადოლ-
ფინასთან ლაპარაკი მაგ საგანზედ; მაგრამ შენგან უფრო რი-
გია, რადგან დედა ხარ.

— მე თქჳნ გეუბნებით, რომ სულ თქჳნი საქმე არ არის,
მიუგო გაანჩხლებულმა ცოლმა, ისეთი საშინელი სიტყჳს
თქმით, რომ უმეტესად არ გაეჯავრებინა ცოლი, რომელიცა

ეგრეთჳე ჩუმათ იყო წყენისა გამო. ბოლოს ველარ მოითმინა, ცოლი ბალიელისა საჩქაროთ მივიდა ფანჯარასთან, თითქო ნიავით უნდოდა გაგრილებულ იყო.

ამავე დროში მოისმა ხმა მოახლოებულის ეკიპაჟისა და იმავე დროს ზარის ხმამ აცნობა სტუმრის მოსვლა. ფარდებს უკან დამალულს ბალიელის ცოლს შეეძლო დანახვა გამოუჩენელად თჳსსა. მსწრაფლათ განეღო ალაყაფის კარები და ეზოში შემოგორდა მშვენიერი კაბრიოლეტი; პატრონი იმა მსუბუქის ზრწყინვალის ეკიპაჟისა იყო ყმაწვილი კაცი ოცდა ათის წლისა, არა მაღალი, გარნა კარგათ მოსული, ამპარტავნად მჭირავი თავისა. შეხედვა მისი იყო გამბედაობითი; დაცინვებითი ღიმი მიმოურბოდა ტუჩებზედ; თჳთ მცირედი მოძრაობა მისი აღმოაჩენდა დარწმუნებასა თავისასა, რომელიცა ემსგავსებოდა შეურცხჳენელობასა. შავი თმა და ულვაშები იმისა დამჩრდილებელი სახისა, ამაღლებდა გამომთქმელობასა მისისა სასისასა, რომელთანაცა ეგრეთჳე სრულებით შეხამებულ იყო თანასწორ ტანის სამოსი მისი ოქროთი დაფერილის ღილებითა, სამხედრო ტანის სამოსივით გამოჭრილზედ. მომაგონებელი ბედნიერთა დროთა იმპერიისათა. გამოსრულმან კაბრიოლეტიდან მარდმან მან უფალმან მისცა ვოზჟები მსახურსა, ეგრეთჳე თითქმის ამპარტავანსა ვითარცა თითონ. მსახური იმავე საათს შევიდა სარაიაში ისე თამამათ თითქო იყო სახლი მისი. ეკიპაჟის პატრონმა, რა განვლო მწვანესა ხალიჩასა, რომელიცა აჩჳენებდა სახლისკენ გზასა, თავმოწონებით დაუკრა თავი ქალსა, რომელიცა არ იყო ცოლი ბალიელისა. მაშინ ახადა ბალიელის ცოლმა ფარდა, რომელიცა მას

ჭფარამდა და დაინახა ძირის სახლის ფანჯარაში ქალი თჳსი, რომელიცა იმავე თითქმის მინუტს უკანვე მიეფარა, თუმცა არა ჰქონდა მიზეზი, რომ მას ზვერამდენ. ბალიელის ცოლი თავისივე მხრით შეიძრა, რათა უკან ჩამოდგომილ იყო და შეეფეთა ქმარსა თჳსსა, რომელიცა გაუგებლად მის უკან იდგა და ყოველივე დაინახა რაჲცა მოხდა.

— აბა! ვტყუოდი? ჰსთქუა მან საიდუმლოებით თავის გამქნევმან:— ფამჯარაში უცდიდი ჩქარის ნახვის იმედისათჳს! ძლივ ეკიპაჟიდან ჩამოხტა და ისინი მაშინვე ერთად შეიყარნენ; ეხლა კი არაფრისა უნდა გვეშინოდეს, რადგან აქ მოვლენ ისინი; ადოლფინას რა საკვირველია იცის, რომ ჩუენ აქა ვართ.

— როგორ გაბედამს, რომ კიდევ მიიღოს ისა? ჰკითხა გაჯავრებულმა ცოლმა ბალიელისამ.

— მე მაგას ხომ არ ვამბობ, მაგრამ ბაღს დიდი ალაგი აქჳს.

— შოდიე ხომ იქ არის!

— ის ბაღჩაშია ჰლებამს თავის მოაჯირს. საწყალი!.... და მერე ის ტუტუცი ადოლფინა.,.. შენ დარწმუნებული ხარ რომ ისინი იმ მხარეს არ წავლენ. არა ჰსჯობს რომ ჩუენც ჩავიდეთ?

— პასუხის მაგიერ მადამ ბალიელ პოლს დააცქერდა საშინელის მოღრუბლულის სახით.

— შენ არ გინდა წახვიდე ბაღში? ჰკითხა რამდენისამე მინუტის გაჩუმების შემდეგ საბრალო მოხუცმა, რომელიცა შიშობდა თავის სიძისათჳს.

— თქჳენ აქ დარჩით! მიუგო ბრძანებით ადოლფინას დედამ თითქო მწუხარე ძილისაგან გამორკჳეულმან, და მიიღო შეჭველი განზრახვა. განგიმეორებთ, რომ ეგ თქჳენი საქმე არ არის და თქჳენთჳს რიგი არ არის იმისთანა საქმეში გარევა. იცოდეთ მინამ მე არ დავბრუნდე მანამ არას მიზეზით არ გამოსვიდეთ სასტუმრო ოთახიდამ.

— ჟურნალი მაინც მომეც, მონიტერი გაბედა თქმა დამჯერო ქმარმა მოწიწებით შემხედველმა (moniteur) რომელიცა საშინლად სჯუჯუნიდა ხელში ცოლი მისი პირჳელსავე ლაპარაკის დაწყებისა.

ეს ყველამ იცის, რომ სახლში, სადაც შეჰვდებს გადავა ცოლის ხელში, ჟურნალისა თუ სხჳა წიგნისა რისამე, გახსნისა და წაკითხვისა ძალა პირჳელათ ქალისაა. მადამ ბალიელ შეუწყალებლად სარგებლობდა იმა ძალსა, რომელიცა ქმრისა მისისათჳს სხჳა ყოველი მწუხარება არაფრად იყო, როგორათაც ესა, რადგან იგი იყო ფრიად მამულის მოყვარე „პატრიოტი, გარნა ჩჳეულებრივ, ასე გასინჯეთ ამასაც ითმენდა. ამ მინუტში პოლიტიკა განჰქრა გულსა გაანჩხლებულის ცოლისასა: არა გამომთქმელმა ერთისაცა სიტყჳსა, მოწყალებით გადააგდო სტოლზედ ჟურნალი წაკითხული მისგან მხოლოდ ნახევრადმდე.

— მადლობელი გახლავარ! დაიყვირა მოხუცმა სიხარბით აღტაცებულმან ჟურნალთა ფურცლისა რომელიცა დიდხან ელოდა; უკჳე არღარა ჰფიქრობდა თავის ქალის არშიყობასა (кокетство) და ამისათჳს საშიშარ საქმესა; სიამოვნებით ბეერო-

თო კითხუასა შინა; ცოლშვილის პატრონი დაემონა მოქა-ლაქობასა.—

ჯერ იმას სათვალები არ გაეკეთებინა, რომ მადამ ბალიელ წავიდა უკუჱ ბალში გოსტინიდამ. ქმრის ლაპარაკიდან და თავისის მიმხვედრულობითა, იაზრა, რომ იპოვნის მათ, რომელთაცა ექებს და ჩრდილოვანთა ხეივანთა მხარესა, რომელთა ახლოს იყო ბესედკა, საიდამაც თვალსა შეეძლო დაენახა ნებიერათ მიმდინარეობა სენასი. ალაგი ესე 'განშორებული სახლისაგან და დაფარული მოსქეთა ხეთაგან დამნახუელთათჳს, სხუათა შორის უკეთესი იყო წრფელისა ლაპარაკისათჳს.

განიერის ხეივნის გავლის 'მაგიერ, მადამ ბალიელ გაუდგა იწროსა ბილიკსა, რომელმანცა მიიყვანა ბესედკასთან, ესრეთ, რომელ მუნ მყოფთა არა შეეძლოთ დანახვა მისი. რა უკუჱ დაუახლოვდა, ააჩქარა ფეხი და მიდიოდა, მსგავსად მგლისა, ვიტყოდით. მაგრამ ვერა ვბედავთ, ამისთჳს რომ აქ ლაპარა-კია ქალზე. შემდეგ რამდენისამე ამა ხერხიანის სიარულისა, დადგა იგი ერთს მსხვილს თელასთან, რომელიცა გარ იყო ზურჩქნარითა მოცული, რომლის წინ სკამზედ ისხდენ ადოლფინა შოდიე და გუსტავ ლაბუასიერ. სამი ნაბიჯი იქ-ნებოდა მადამ ბალიელსა 'და მოლაპარაკეთა შორის, და თუმცა იგინი ლაპარაკობდენ დაბლისა ხმითა, მაგრამ ისრე-თითა ალტაცებითა, რომ მადამ ბალიელს შეეძლო გაეგონა და ყოველივე აეხსნა თავის თავისთჳს დედობრივისა თჳსებისა გამო.—

ბ.

ადოლფინა შოდიე იყო ლამაზი შავგვრემანი ოცდა სამისა წლისა და დედასა თჳსსა გვანდა იმდენათ რაერთიც მათ შორის იყო ხანის განრჩევა. ცოტა დახრილის წარბებთაგან მისთა არწივულის ცხვირისა, ფრიადის ნაკვთიანისა ბაგეთა და უმეტეს დარწმუნებითი შეხედვითა შესაძლებელ იყო გამოცნობად, რომელ ესე მიმზიდველი ქალი საჭიროდ არა რაცხდა გვარეულების ჩჳეულების დატკბობასა უმაღლესის უფლების კაცთა ზედა. მშობელთა მისთა ქცევამა მას ზედა და წინააღმდეგმა ხასიათმა მათ შორის გამოიღო ნაყოფი თჳსი. სისუსტესა ზედა მამისასა მიუგებდა იგი საშინელისა ყინიანობითა; დედის სიანჩხლესა ზედა აჩჳენებდა მონებასა; უყვარდა პირუთვნელი და არა მოშიში იყო მისი და ემონოდა მეორისა არა მოსიყვარულე მისი.

რაჲცა შეეხება ქმარსა მისსა, განვლო ხუთსა თვესა, რომელ ადოლფინას არა ჰქონიყო ჯერ შემთხვევა მისთან გარდაწყვეტილის ბაასისა, რომელიცა შინაობაში ემგზავსება კაბინეთებურსა კითხჳასა კონსტიტუციონის მმართებლობასა სხჳათა შინა. მაინც კი დროსა თაფლის თჳსასა (*) წინათვე აგრძნობინა მნებებლობა თჳსი, როგორათაც იქმონენ ყოველნი ახალი პატარძლები. დასამტკიცებლად მის ძალისა რათა არა

---

(*) თაფლის თვეს ეძახიან ანგლიჩნები და სხჳანი ევროპიელნი ქორწილის შემდეგ რამდენსამე დღეთა ახალ დაქორწილებულთასა.

შერყეულ იყო; აფუძნებდა ორთა გარემოებათა ზედა: პირუტყ-ლათ ნებასა თჳსსა ზედა, და შემდგომ განუსაზღვრებელსა მორჩილებასა ბენუა შოდიესსა, რომელიცა ყოვლის გარემო-ებით აჩუენებდა ღირს სიძეთ უფლის ბალიელისა. ორნივე აჩუენებდენ ერთ ნაირსა სითავდაბლესა, სიმხურვალესა ჩხუ-ბისასა და მასთანავე მონებასა. უმაწვილი და მოხუცი, თითქო იყუნენ დაბადებულნი მისთჳს, რათა ყოფილ იყუნენ უმორ-ჩილესი მონანი თავის ცოლებისა.

რა თხოვდებოდა ადოლფინა, მაშინვე განმზადებულ იყო ბრძოლსა ზედა თავისუფლებისა თვისა ზედა. განძრახი ახოვნისა ომისა დასამარცხებად, იგრძნა მან გაკვირვებულმან აღრეულის უკმაყოფილებითა, რა ნახა თავის თავი დამარც-ხებულად თოფის გაუვარდნელათ. რა ნახა ქმარი თჳსი სრუ-ლებითსა მორჩილებასა. აბა რა საჭირო იყო საომრისა ია-რაღისა მომზადებაჲ ჯიუტობისა, გაჯავრებული სახისა ბრძა-ნებლობითისა ტონისა, ალერსისა, დამაცხრობელისა ღიმილისა, დრამატურული ცრემლისა, უმიზეზოთ სისუსტისა და სხუა გვარები შტუკები, რომელსაცა საჭიროდ შერაცხამდა თუმცა არა ჰსცოდნიყო, დედის მაგალითმა ადრევე აგრძნობინა. და მისთჳს მადამ შოდიე იძულებულ იყო რათა შეენახა სამხედ-რო იარაღი მაღაზიაში, გარნა უკეთ თჳს გამზადებულ იყო ეხმარა იგინი პირუტყლსავე მდევრის ხმაზედ, ესე "ყოველივე აღასრულა მგზავსისა კმაყოფილებითა, რომელსაცა ჰგრძნობს გამოცდილი ინჟინერი, როდესაც გამზადებულთა ასადნის ზარბაზანთ მოქმედება ჰსურს და უეცრად ნახავს ნიშანსა და-მორჩილებისა ზღუდეთა ზედა მტრისასა.

ყოველთჳს, როდესაც ქალი უჩივის ერთ გუარ ცხოვრებასა და ნელიად მაველობასა დროსასა, მაშინვე გამოჩნდება გრძნობიერი კაცი რომელიც ვალდებულად რაცხამს რათა იგი შეარიგოს აწმყოსა ცხოვრებასა. ამა შემთხუევაში ნუგეშინის მცემელი ამისთჳს მსწრაფლად წარმოსდგებოდა სცენაზე, რადგან იგი იყო კულისებს უკან. მოკლეთ მიღებული ადრევე მადამ ბალიელისაგან დიუსტავ ლაბუასიერი რა საკვირველია მიღებულ იყო შოდიეს სახლშიაც, იქნება იმიტომ უფრო, რომ ადრე ჰქონდა განზრახუა, ადოლფინას შერთჳსა, როგორათაც არწმუნებდა მადამ ბალიელ. იმის ჰაზრით, მას კიდევ ჰქონდა განუქრობელი სიყუარული ადოლფინასი, თუმცა სხუა მიზეზი იყო და არა სანტიმენტალნის (ანუ ნაზის ტრფიალობის) რომელიცა მათ ჰქონდათ ხელმძღუანელად ამა შემთხუევაში და იძულებულ იყო იგი ესმარა ეშმაკური საქმე, რომელსაც მოლექსენი უწოდებენ სიყუარულად ხოლო (მორალისტები ზნეობის, მოქადაგენი) განრყუნილებად ჰქონდა მას ყოველი ღირსება, საჭირო იმა ჯოჯოხეთის ჰაზრისა აღსრულებისათჳს;— სასიამოვნო იყო, თუმცა არ იყო კაი სახის, მარჯვე მომატებულად, და გამბედავი ურცხუენელობამდე; სახელოვან იყო ქუეყანაში რამტკუენისამე ზედიერის 'დოელის გამო, რომელთა ანგარიშს მეცადინეობდა მომატებასა; ერთის სიტყჳთ გამსჭუალველი (დამმონებული) გონებითა და გულთა. დარწმუნებული იყო ზოგერთა ქალთა დამონებაზე, რომელთაცა მადამ სევინიის სიტყჳთ უყუართ ხრმალთა ჩხრიალი. ადოლფინასაცა ჰქონდა ესე სისუსტე. როდესაც ამ ქალთან იტყოდა ლაბუასიერის საქმეთა, სადაც საშინელის ახოვნე-

ბით გამოვიდის დამმარცხებელი, ჰგრძნობდა მცირესა ყრუან-ტელს რომელიცა ესიამოვნებოდა; და შემდეგ როდესაც ნა-ხამდა მას წინაშე მისსა ტრფიალსა, მზასა სამსახურისა მო-ნებისასა, მაშინ იდუმალის აპარტავანებით სიამოვნებდა მის შეცვლაზე. უნებურად უსმენდა საუჰარელის ბღავილსა მძლევლი-სასა, რომელიცა მისთჳს მხოლოდ შეიცვლებოდა ბატკნად.

ერთს ქალს ვერ იპოვნით რომ ლერკულესი არ მოსწონე-ბოდათ ტარის რთვაში; წინაგამძრახნი კაცნი კმაყოფილებით აღსრულებენ ამა ყმაწვილურსა სურვილსა თავის მოწონებისა თჳს ქალისა, რომელსაცა სასარგებლოთ თჳსა იქმონენ. ლა-ბუასიერიც ართამდა ფეხთა ქვეშე თავის ახალ ომფილის და ეგრეთვე თითქმის მისთანავე მორჩილებითა, თუმცა არ ფრიად წინაგაფთხილებითა, ჩაგონებული გამოცდილებითა თავს არ უჩვენებდა უმეტეს მადამ ბალიელის (იმის მიზეზი შემდეგში განცხადდება.) ცოტად ემალვოდა ქმარსაცა ადოლ-ფინასისა და ეგონა რომ მით აძლევდა მას დიდს პატივის ცემასა; რაიცა შეეხება უფალს ბალიელს, იმას ჰქონდა მიზე-ზი რათა იგი ბრმათ შეერაცხა და მას უგდებდა ყურსა იმ-თვენს, როგორათაც ჩაის სტოლსა ანუ ფორტეპიანსა, რო-მელნიც იქ გოსტინაში იდგნენ.

ამ მოკლეს აღწერილიდან ჰსჩანს, რომ მანამ, გუსტავ ლაბუა-სიერისა და ადოლფინა შოდიესა შორის, უკვე იყო კავშირი, თუმცა ჯერეთ არა აღზდილ იყო, გარნა ერთსა მათგანსა ჰსურდა გაზდა მისი და დღემრავლობა. ლაბუასიერი ყოვლისა შეცადინეობითა ზდიდა კავშირსა მისსა ვითარცა ყრმასა და არასა იშურვებდა აღსაზრდელად მისსა, განავრცელებდა გონე-

ბასა მისსა, ამხნევებდა და ბოლოს შემოსა ჭაბუკისა შესამოსლითა მკითხჳელთ არ დაუმალამთ ლაპარაკსა მათსა, რომელსაცა ყურს უგდებდა მადამ ბალიელ, საიდანაც ჰსჩანს, რომელ ლაბუასიერმა არა დიდის შრომითა დააბეჯითა სარგებლობათჳსი.

— გევედრებით დამინიშნოთ დრო, რომ გამოგიცხადოთ თქჳენ ყოველივე ამბობდა იგი შეხჳეწნისა ხმითა წესისა მებრ მთხოვნელისა.

— ხუმრობთ მგონია, მიუგო ადოლფინამ გართულის სახით, მწიწკვნელმან ვარდისა — მერე რა ჰაზრი გექნებათ ჩემზე, თუ მე მაგისთანა უმგზავსო საქმეს მოვახდენ?

— თქჳენ გინდათ იძულებულ მყოთ და თქჳენ უთანხმოთ აღვასრულო?

— მაგას როგორ გაჰბედამთ ამბობდა ჭაბუკა ქალი და თავს უქნევდა მუქარის სახითა.

— გარწმუნებთ, რომ გავბედავმ, მიუგო გადაწყჳეტილისა სახითა ლაბუასიერმა: — ჰსწორეთ შუადამეში მე ვიქნები თქჳენს ფანჯარასთან.

— კედელზედ უნდა გადმოხვიდეთ მაშა?

— ეგ არაფერი; რა საჭიროა კედელზე სიარული, როდესაც კარებიდან შეიძლება შემოსვლა?

— რომელიდგან?

— რომელიც არის ბაღჩისაკენ.

— ვინ გაგიღებთ? ჰკითხა ადოლფინამ სიცილით.

— აი ესა, მიუგო ლაბუასიერმა დაწყნარებულმა, ამომღებმა ჯიბიდგან გასაღებისა,

— ეგ გასაღები რა ერთი ხანია დაიკარგა?

— ხომ ხედამთ რომ ყველასთვის არ იყო დაკარგული.

— მაშ თქვენ აიღეთ?

— მე.

— ეგ ხომ ქურდობაა.

— არაოდეს, ეს არის სიყვარულის მანქანება.

— და გინდათ მაგითი ისარგებლოთ?

— უეჭველად და დაუთოოთ ამაღამ. მადამ შოდიემ მხრები აიწია.

— ასეთი სიტუტუცეა ეგა, მიუგო მან: — რომ სასაცილო იქნება მაგაზე გავჯავრდე.

— თუმცა დიდათ მეშინის თქვენი გაჯავრებისა, მაგრამ ჩემს ჭკაზრს მაინც ვერა გამოსცვლის რა.

— კარგი და ჯიუტო ტუტუცო, ქურდო! ვსთქვათ რომ გაბედამთ ბაღში შემოსვლას; იცით იქ რა დაგხვდებათ.

— თურქი, მიუგო ლაბუასიერმა.

— დიახ, თურქი, თქვენ ბედნიერათ უნდა შერაცხოთ თქვენი თავი თუ მარტო მხოლოთ დაგუქევათ; წარსულს ღამეში კინაღამ ერთი მუშა გაგლიჯა.

— თქვენ გავიწყდებათ, რომ ის ძაღლი მე გაჩუქეთ; მორჩილი ძაღლია თურქი და გონიერი და არას დროს თავის უწინდელ პატრონს არ აწყენს; ხმას არ ამოიღებს.

— მაგ განზრახვისათვის ხომ არ გაჩუქეთ? ჰკითხა ყმაწვილმა ქალმა, ძლივს ღიმილის დამჭერმა.

— დიახ მაგისთვის! მშვიდათ მიუგო ლაბუასიერმა. — მე წინათვე მივხვდი; გამოცდილებით სამოცის წლისასა ვბევარ.

— ერთს მინუტს განგრძელდა სიჩუმე, ტანჯული საშინე-

ლისა აღრევითა, ძლივ ითმენდა მადამ ბალიელ. სუნთქჳა უწყდებოდა, თვალნი აღენთებოდენ სიცოფისაგან; მეორეს ხეს ასლო მიეყუდა, რათა უფრო კარგა გაეგონა.

— დიახ! თქჳენ ფიქრობთ ბალიდან?... ჰსთქჳა ადოლფინამ, დ̃ უფრო უმეტესად დაუწყო ვარდს წიწკნა, რომელიც ხელთა ეპყრა. შუაზე გაგლეჯის მაგიერ ის მუხანათი თურქი თქჳენ მხარეს იქნება. ჰო მერე?

შემდგომ ვითარცა ფერია, ვითარცა ჩრდილი, ნელისა, გაუგონარის ბიჯით წავალ წინ; დაჰკრავს ერთს საათს, მაშინ მე თქჳენს ოთახის ფანჯარასთან ვიქნები, რომელიც არის ძირის ატაყაში.

— შემდგომ? აღარ დამცლელმა მადამ შოდიემ მიუგო დაცინებით. ლაბუასიერმა გამაართო ხელი, თუმცა ცოტაოდენი წინააღმდეგობა გაუწია.

— მასუკან უთხრა შემასვეწარისა სახითა, მომზადებულმა დაჩოქებად.— გამიგონეთ დ̃ თქვით, განა ბევრს რასმე გთხოვთ. ადრინდელ დროს, ისპანიაში მშჳენიერნი სენიორანი ხშირათ ანებებდენ თჳსთა დუენნათა დ̃ გვიან ღამე, რომელსაც ყოვლი ძილის განგრძობაში იყჳნენ, გარდა ამურიასა, დაბალის სახლის ფანჯარიდან არ უშლიდენ თავიანთ საყუვარლებს ყურებას, რათა მით გაესინჯათ მშჳენიერება მათი. თქჳენ იმათზე უსამართლო იქნებით?

— მართლა დაბლაა ჩემი ფანჯარა, მაგრამ რეშოტკები არა აქჳს მიუგო ღიმილით ადოლფინამ.

— განა ურაზოთ არის?

— რეშოტკა კიდევ სხჳაა.

— რისა გეშინიანთ?

— საკჳირველი კითხვაა, რისა მეშინიან ქურდისა? გასაღე-ბი მომეცით.

— არაოდეს! და თუმცა თქჳენ მოექცევით ვითარცა ქურდსა, გარნა იცოდეთ, რომ ბედნიერათ ვრაცხ იმ წუთს, როდე-საც თქჳენთან მარტო ვიქნები და ამისთჳს გავბედამ ბევრს ღონის ძიებას. ფარდის ახდა და ფანჯრის გაღება გარედან სე ძნელი არ არის, როგორც თქჳენ გგონიათ.

— მე ვხედავ გინდათ, რომ ძილი გამიფთხოთ და თით-ქმის ნაძლევს დავდებ, რომ სიზმარში ვნახამ იარიშის მო-ცვანას, აკლებას, ხოცას; ხოლო მცირე ხმაზედ წარმოვიდგენ თელს დასტა ავაზაკთა ჩემ ფანჯარაში აპირობენ შამოცვი-ვინვასა.

— მაგისთანა ხმა რომ გაიგონოთ შუაღამეში?

— და სხჳებმაც ჩემ გარდა, რომ გაიგონონ? უთხრა ადოლ-ფინამ სურიოზნის ტონით |დამაცქერელმა ლაბუასიერისა.

— ეგ უბედურობა იქნება, გარნა თქჳენ შეგიძლიანთ, რომ ეგ არ მოხდეს.

— მითომ როგორ? ხომ არ გინდათ ფანჯარა გასტეხოთ?

— რა საჭიროა გატეხა გაღებულის ფანჯრისა? უთხრა ნე-ლის ხმით ლაბუასიერმა.

მადამ მოდიემ გამოსტაცა ხელი თჳსი და საჩქაროთ ადგა.

— ტყჳილად სიტყჳასა ჰკარგამ; ეტყობა, რომ თქჳენ ჭკჳაზედ შემცდარ ხართ.

შეხედვა, რომელმაცა თანასდევნა ამა სიტყჳსა, ისრეთ წი-ნააღმდეგი იყო, რომელ ლაბუასიერმა კინაღამ დააბჯჳითა

თავისი გამარჯვება; გარნა თავი შეიკავა, კარგათ იცოდა, რომ ქალთ არ უყჳართ დაცინება მაზედ, რომელიცა მათ უჩნთ მძიმედ.

— შინ წავიდეთ, უთხრა ადოლფინამ: — რა საკვირველია ეცოდინებათ თქჳენი მოსჳლა, და იქნება შენიშნონ კიდეც ჩჳენი შინ უმყოფლობა.

— მითომ ვინ? თქჳენმა ქმარმა? მე ის ვნახე კიბეზე მჯდომი ხეივან წინ; იმ სასიამოვნო მდგომარეობაში მეგუ-ლება, რომ მას არ მოაგონდეთ; მამა თქჳენმაც მიიღო ნება ჟურნალის წაკითხვისა.

— მაგრამ დედა ჩემისა მეშინიან.

— რასა ბრძანებთ, უთხრა ლაბუასიერმა, ჯოჯოხეთურის სიცილით: — მე დარწმუნებული ვარ, რომ ესლა ის ფერს ისვამს, და მგონი სადილობამდენ ვერ მორჩეს.

რა გაიგონა ესე მადამ ბალიელ, რომ მაზედ ისე უპატიუ-რად ლაპარაკობენ, სიანჩხლისაგან შეძრწუნდა; შეიძრა რათა მივარდნილ იყო კაცსა მას ზედა, რომელიცა, ისე შეურაცხ ჰყოფდა მას, გარნა ამისი სიბრიყვისა, მიაყენა ეგრეთჳე სხჳა უპატიურება. არა ჰქონდა სამძღვარი წყრომასა მისსა.

— მე კარგს შურს ვიძიებ! ჰსთქჳა მან: — გარნა დრო იმისი ჯერ არ მოსრულა.

შორის ამისა, ადოლფინა და ლაბუასიერ წყნარ წყნარა მი-დიოდენ, ყოველს ნაბიჯზედ შედგებოდენ, როგორათაც უმა-წვილი ხალხი, რომელთა თჳს სასიამოვნოა კიდევ ერთათ ყოფნა. მადამ ბალიელ, არა მცნობელი თავის თჳსა, სიან-ჩხლისაგან, გაუდგა და უხედავათ ერთს ხეივანს, რომელიმანცა

შემდეგ რაოდენისამე ხანისა მიიყვანა სახლთან. კარებთან დახვდა ქმარი თჳსი.

— რას აკეთებთ აქა? გაჯავრებულმა ჰკითხა; მე აკი გითხარით გოსტინაში ყოფნა?

— ახ ღმერთო ჩემო რა დაგმართვია საყუარელო ჩემო? უთხრა შეშინებულმა კეთილმა კაცმა:— ასე საშინლათ ხარ გაწითლებული, თითქო სისხლი სულ თავში ამოგვრენია.

— განა ვერა ხედამ, რომ წასმული ფერისაგან არის? უთხრა მადამ ბალიელმა მხეცურის ხარხარით.

— ფერი?

— ჰო, მე ვხმარობ ფერსა, გაკეთებული მექმნება თმაცა, და იქნება კბილებიც ჩაწყობილი მაქუს, ამბობდა იგი კბილების დრჭენით თითქო უნდოდა წმინდათ დაფხვნა მათი.

რა ნახა ცოლი თჳსი, უფალმა ბალიელ, ამ მდგომარეობაში, უეჭუელათ იფიქრა, რომ იმის ცოლი, სიცხეში ბოდავდა. დარწმუნებული ამა ფიქრისაგან, მშიშრობით მიმოიხედვიდა აქათ და იქით, რომლისაც მოულოდინელმა შემთხჳევამ მოარჩინა იგი. ადოლფინა და ლაბუასიერ, შემდეგ ხანგრძლივ სეირნობისა, ბოლოს მოვიდნენ სახლში. დაუდევნელად მიდიოდნენ ეზოში, არა მიმხვედრნი მოხუცის ნიშნებისა, რომელიცა შორიდან ანიშნებდა მათ როგორათაც ხომალდს მომავალს ავდრის შიშისაგან; გარნა მსწრაფლ მოვიდნენ სასურველს მეუღლესთან. იმათ ნახვაზე მადამ ბალიელ ძლივს შეიმაგრა შინაგანი გულის აღრეულობა, რომელიცა აპირობდა მოხუცის თავზე დატაკებასა, და თქუა რომ ცოტა აცივებდა, მიზეზი უძილობაა და უმეტესი მიზეზი საძაგელი თურქია,

რომელიცა ხშირის ყეფითა არა აძინებს მას. ესე ყოველივე უთხრა მას კაცს, რომელმანცა ისე სიგუილიზე უმეტეს განჰკიცხა, მშვიდათ, ასე გასინჯეთ როგორიღაც ღიმილით.

— საწყალი! თავისა თჳს თქუა კეთილ სულისა ქმარმა:— ცუდათა სძინებია იმისთჳს უთუოთ არის გაჯავრებული.

რაჲცა შეეხება ლაბუასტიერს, კარგათ ათამაშა თავისი როლი და იქცეოდა მას კაცსავით, რომელიცა ცდილობს ყოველთა სიამოვნებასა. უფალ ბალიელთან, რომელიც იყო საკმაოდ მდიდარი ლაპარაკობდა ფულის წარმოებაზე; მადამ ბალიელს უამბობდა ფრანციცულის თეატრის პიესის ჰაზრსა, რომელისა თჳსაც მადამ ბალიელ ცდილობდა ყოველთჳს ეჩვენებინა გემო ლიტერატურის ცოდნაში, რომლითაც ესრეთ სახელოვნობენ ქალნი, თუმცა აქუთ მათ თჳთ დაუფუძნებელი ცოდნა ლიტერატურისა. ბოლოს ბენუა შოდიეც იკითხა, რომელზედაც სრულებით არავინ ჰფიქრობდა.—

— სახლის პატრონი სად არის? იკითხა უეცრად ლაბუასიერმა:— იმასთან წიგნი მაქუს.

— წიგნი? მიუგო ადოფინამ:— ვისგან?

— არ ვიცი. მე მომცა თქუენმა ეზოს მცველმა.

— ჩუენმა ეზოს მცველმა?

— დიახ ეზოში რომ გამოვიარე, ვკითხე ხომ არა ჰქონდარა თქუენთან მოსატანი და როგორც ხედამთ კარგს დროსაც იყო ჩემი კითხუა.

— უცხოა, იფიქრა თავის თჳს უფალმა ბალიელ უკმაყოფილებით:— ცდილობს სამსახურის გაწევას. თუ საწყალ შოდიეს არ შეატყობინეს, მაშინ მეტი ღონე არ არის, შეუნდა

გავერიო საქმეში.—

— შენი ქმარი ბაღჩაში იქნება უთუოდ, უთხრა მადამ ბალიელ თავის ქალს:— ეს ორი დღეა რაც თავის ყურძენს არ ეშვება.

— მეც გახლავარ ბატონო თქუენის სამსახურისა, საჩქაროთ უთხრა ლაბუასიერმა და მკლავი სთხოვა დედასა, მხოლოთ სურვილის სახით შეხედა ქალსა.—

ოთხნივ იგინი წავიდნენ ბაღჩისკენ, რომელიც გაყოფილი იყო ბაღისაგან რამტკვენისამე ხშირის ხით. პირველსავე მათ შესვლათ ბენუა შედიე, მჯდომი კიბეზე. დებამდა იგი რე-შოტკასა, რათა არა შეწუხებულ იყო, გეხადნა სერთუკი და შემოესხნა ღალსტუხი და ყოველივე ეს დაეკიდნა დამასხის ტოტზე. ასრეთ გაფალარა თებულს, თავზედ დაეხურა განიერი არშიანი ქუდი და დამკლავებული, სამხატრო კალამს ასე მსწრაფლათ ხმაროვდა, რომელ ძნელი იყო დანახვა მისი. ამასთან ასე იყო გართობილი თავის მუშაკობაში, რომელ მანამ ისინი არ მივიდნენ მანამ ვერ დაინახა.

ზ.

თუ დღე დღიური მაგალითი გვიმტკიცებენ, რომელ ვენახის და ყოველი სოფლიური მუშაკობა არ არის საკადრისი კეთილშობილობითი განსვენება ასე გასინჯეთ მოხუცებაშიაც, მაშ უცხო საკვირველი სანახავი არ არის, როდესაც მოქმედი მწევრი საზოგადოებისა, ძლიერებითა საჳსე, მოქალაქე

ჲ უფრორე ჭაბუკი პარიჟანელი, სხლამს ვაშლს ანუ რწყამს სალათასა. მოქმედებამან გონებისა, წინაგანძრახვამან, თავგანწევმან მედიდურებამან, რომელნიც ჰსწყველენ ახალს ჩამომავლობასა, ესრეთ დაგვაშორა ყოვლისა ამგვარისა მუშაკობისაგან, რომელ მოგონებაცა ოქროს საუკუნოჲსა გვჩანს უკჳე სასაცილოთ. ხუმრობა იქით დაუტეოთ და არ შეიძლება რომ არ გაკვირდენ უფალის შოდიეს საკვირველს მოქმედებაზე: თითქო ფრანციაში ჯერეთ კიდევ არ იყო არცა რკინის გზები, არცა ორთქლის გემები (პაროხოდები) არცა საზოგადოება არცა აკციაები.

გარეგანი სახე ადოლფინას ქმრისა ძრიელ ეთანხმებოდა მუშაობასა მისსა. წარმოიდგინეთ ოცდა რვის წლის ყმაწვილი კაცი, მაღალი ტანისა და მაგარი აგებულებისა; აი იმისი ფიზიკური ღირსება. სახე მისი წარმოსთქვამდა სიმყუდროესა და ბედნიერსა სიმრთელესა; გარნა სახის ხაზებთა შინა მისსა არა ჰსჩნდა არცა კეთილ ნაკჳეთობა არცა კეთილშობილება. წაბლის ფერი გატკეპნილი თმა, მოკლე წვერი და ჭრელი თვალები უსიცოცხლონი, განიერი შავგვრემანი პირი შეადგენდა მრთელს სრულებით განსხვავებითსა ხარაკტერსა სიმძაგრებითსა დუმილებასა და სიანჩხლესა მხეცურსა, რომელსაცა ჩჳენი ყმაწვილნი კაცნი, ბუნებითგან მქონენი საკმაო სიყვითლისა და წვერისა, რაცხვენ ამას საკმაო მამაცურ სიმშჳენიერეთ. პირჳელი გამოთქმა შოდიეს სახისა იყო მყუდროებითი, მსგავსი თვლებისა, რომელიცა წარმოადგენდა სრულებითსა უფიქრელობასა. ამასთან დაუმატოთ რომ თუ კაცს გაეჩხრიკა თავა იგი, რომელიც უფრო მოუხდე-

ბოდა ხუროს მხრებს, უთუოდ იგი იპოვნიდა მასში ძარღვსა თჳთ სახიათობისასა უმეტეს ხარისხადმდე გაშლილსა. ბენუა როდიე იყო ბრეტონილი დაბადებით ნანტინიდამ.

რა მივიდნენ მუშაკთან ოთხნივე დაცინების გრძნობაში მიეცენ, გარნა ყველამ წარმოსთქუა თავის რიგზე. ლებუასიერმა გაიღიმა. უფალმა ბალიელ ჯავრით მხრებს აიწია. ადოლფინამ ნახევრათ დაამთქმარა, რომელიცა ასე ხშირად შეემთხუევათ ხოლმე ყმაწვილსა ქალსა, როდესაცა ქმარს დაინახვენ. ბოლოს მადამ ბალიელ გასინჯა რა სიძე თჳსი, რომელსაცა იმედი ჰქონდა ჩამეგდო კიბიდან ერთის შეხედვითა, დაუყვირა წვრილის ხმითა:

— ეს უთუოდ მასხარობაა! არ შეიძლება რომ თქუენ არ დაგვინახეთ.

შოდიემ მიიღო თავი და დააცქერდა წინაშე მისი, მდგომარესა კრებასა.

— მშვიდობა თქუენი ნახვისა, უთხრა მან და ხელახლა დაიწყო მუშაობა.

— განა ვერ ხედამთ უფალს ლებუასიერს? მიუგო მადამ ბალიელ მწყრალის ხმით.

— უკაცრავათ, მე მაგასთან არ ვცერემონიაობ; იმედი მაქუს რომ ნებას მომცემს შევასრულო ჩემი საქმე.

— რა საკვირველია, თქუა ლაბუასიერმა სიცილით:— ხელოვანთა შეწუხება ცოდვაა. როგორც გხლამ უცხო მხატვრობაა.

— ჩამოდით, შოდიე, უთხა თავისი მხრით უფალმა ბალდი-ელ: — აი წიგნის თქჳენთან.

— წიგნი? ჰსთქჳა შოდიემ, თავის მიმღებმა.

— მარსელიდან, მიუგო ლაბუასიერმა და მისცა მას.

— ა — ა! მარსელიდან დაიყვირა საკვირველის ხმით ადოლფინას ქმარმან: — და თქჳენ მოგაქვთ!

აღარა თქჳარა, კისტი კრასკების ქოთანში ჩაადო, კიბეზე ჩამოვიდა სრულებით მშვიდის სახით. შემდეგ რა გამართვა წიგნი ლაბუასიერს, გონებიერათ გასინჯა კანვერტი და აუჩქარებლათ ჩაიდო ჯიბეში.

— ძალიან ცოტა გქონიათ სურვილი — ცნობისა! უთხრა მას სიმამრმა.

— მე ვიცი რაცა სწერია, მიუგო შოდიემ ორნაირათ, ჩამ-ცმელმა ტანისამოსისა, ქალა, ჰსთქჳა მან მხიარულის სახით: — იმედი მაქჳს უარს არ იეტყჳთ ჩემი სატაცურის ნახვისას.

— დიდი საკვირველება რომე არის თქჳენი სატაცური, მიუ-გო შეზიზღებით მადამ ბალდიელ და მიბრუნდა იქით.

— ადოლფინაც ეგრეთვე მოიქცა, და უფალმა ბალდიელ, მო-შიშმა რომელ ცოლი არ გასწყრომოდა სიძის ბალდუელის სიყჳარულზე, ისიც მიბრუნდა. — მხოლოდ მარტო ლაბუა-სიერ გაუხდა თანხმა სატაცურის ნახვაზე და ძალიანაც მოი-წონა. შემდეგ ამა სასიამოვნო დროს გატარებისა საყჳარელი და ქმარი მავიდნენ სახლისკენ, სადაც ელოდა მათ სადილი. თუმცა შოდიე, როგორც ეტყობოდა, არა ჩქარობდა აზრის შეტყობას იმ წიგნისას, მაინც კი მანამ სადილზე დაჯდებო-

და მოასწრო წაკითხჳა. რა გახსნიკა განვერტში ჩადებული ქაღალდი, სახე მისი, რომელიც ყოველთჳს იყო გამოუთქმელი, განათლდა სიხარულით; ხოლო როდესაც წაიკითხა წიგნი წუთის მის აღშფოთება სულ ასლაგე განქრა.—

სადილის შემდეგ, მადამ ბალიელ, რა ნახა, რომ წამ და უწუმ თვალს უმკრებიან ლაბუასიერ და ქალი მისი ერთმანეთს მოთმინებიდან გამოვიდა. რა ველარ დაიჭირა თავი და ალარც ჰქონდა იმედი დაეფარა სიმძულვარე თჳსი, ბოლოს ადგა და წავიდა თავის ოთახში, მოიგონა თავის ტკივილი. ყველაზე უმეტეს ეწყინა წასვლა მისი ლაბუასიერს, არა იჭვნეულობდა, რომ მადამ ბალიელ ცდილობდა იმაზე შერიგებას. იმედი ჰქონდა, რომ იმის გამოისობით მიიღებდა ათი ათას ფრანკს, მოუცადა რამდენიმე ხანი; მაგრამ რა ნახა, რომ არა გამოდიოდა რა მივიდა უფალ ბალიელთან.

— კარგა მომაგონდა, უთხრა მან გადაწყუეტილობით და ცალკე გაიყვანა:— თქუენი მეუღლე, რა საკვირველია გეტყოდათ თქუენ გართმევთ უცერემონიოთ ათი ათას ფრანკს.

— დიახ, თქუა, დილას, უთხრა მოხუცმა შემჭმუხვნელმა წარბთა.

— მაშ იმედი მაქუს, რომ ზეგ მივიღებ მაგ ფულს.

ამ კითხუაზე, რომელიც იყო ისე დარწმუნებითი. თითქო საქმე ხუთი ფრანკისა იყო, უფალმა ბალიელ დაჰკიდა ცხვირი და განადო პირი.

— გაიგონეთ საყუარელო ლაბუასიერ, უთხრა მან დიდის რაკვით:— მე ყოველთჳს მზა ვარ თქუენის სამსახურისა;

მაგრამ ეს საქმე მალიან საჩოთიროა, არ ვიცი როგორ დავი-ყოლიო მადამ ბალიელ? თქჳენ არ გეგონოთ რომ მე იმას ვაყვედრიდე რასმე, — არა, ის ბევრის ღირსებით სავსე დედა-კაცია, მაგრამ რაღაც გასაკვირვებელი ხასიათები აქუს მცირედ ლაპარაკზედ სუსტდება და მეშინიან ავათ არ გახდეს. მე დარ-წმუნებული ვარ, რომ იმის თავის ტკივილის მიზეზიც დი-ლანდელი ლაპარაკია, რომელიც გვქონდა ამ ათი ათას ფრანკ-ზე.

— იქნება ფიქრობდეთ, რომ ჩემ ხელში დაიკარგოს ეგ ფული? მიუგო ლაბუასიერმა ესრეთის ამპარტავანის ღიმი-ლით რომელსაც მხოლოთ ხმარობენ მდიდარნი.

— მე თქჳენთან თანახმა ვიქნებოდი, თუ ის ფული ჩემი იყოს გარნა ის არის საკუთრება ჩემის ქალისა, და ვალი მაქუს ანგარიში მივცე ჩემს სიძეს.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ შოდიეც თანახმა შეიქნება ჩუენის განძრახვისა, რომელსაც არამც თუ შეუძლიან თავნის ერთი ორათ გახდა, არამედ წარმაადგენს ბევრს სხუას სარგებ-ლობას. იფიქრეთ მხოლოდ რომ ჩემი ატლანტიჩესკის ორთ-ქლის გემები.

— ჰო, დიახ, რა საკვირველია! არ გაათავებინა უფალმა ბა-ლიელ, რა ნახა შემთხვევა იმ გაჭირებული საქმიდან თავს დააძვრენდე: — ვკითხოთ შოდიეს; თუ ის თანახმა შეიქნება, საქმე გათავებულია: თუ არა მე იცოდე არა შემიძლიან რა. მაშინ დაიბრალეთ თქჳენ თავს და თქჳენ მოელაპარაკეთ თჳთ ჩემ ცოლს. ამას კი ნუ იფიქრებთ რომ მე მეშინოდეს იმისი,

ხომ გესმით რასაც მოგახსენებთ; გარნა ასეთი ხუსტი აგებულებისაა რომ ყოველი წინააღმდეგობა ასუსტებს ჲ იმისთჳს ვცდილობ ყოველთჳს, რომ წინააღმდეგობა რაიმე არ გაუწიო რა.

ლიბუასიერმა, რა ნახა რომ, მოხუციდან არა გამოვა რა, რომელიც უცოლოთ უფრო თავისუფალი იყო, ეთანხმა იმის რჩევას.

რამდენსამე მინუტის შემდეგ, უფალი ბალიელ მივიდა თავის სიძესთან, ღიმილით, რომელიცა არა ჰფარავდა მაინც მის აღრევას. შოდიე დიდი ხანია უკჳე რაც ბალჩაში იყო ჲ ფიქრობდა რაღასაც.

—საყჳარელო უთხრა მოხუცმა, დამყენებულმა მისმა:— მალე გავათავებთ ჩჳენ მხატვრობას?

—იმედი მაქჳს, ხვალ გათავდეს, მიუგო შოდიემ, მფიქვრელმა სრულებით სხვისა რისამე.

—იცით? თქჳენ ასე მარჯჳეთა ხმარობთ კისტსა, რომ თუ გინდოდესთ პატრეთებსაც დახატამდით.

—იქნება. . .

—აი კარგი ვაზი! საკვირველ კარგს ყურძენს ისხამს. თქჳენს მშვენიერს სატაცურს როდის გავსინჯამთ?

ასე ალიერსიანათ ექცეოდა სიმამრი, რომ არ იქნება არ შეენიშნა სიძეს, რომელსაც დაუწყო ყურება ჲ უთხრა:

—თქჳენი ფიქრი მგონი არც ყურძენია ჲ არც სატაცური, რაღაც საქმე გაქჳსთ ჩემთან როგორც ვატყობ? რა გნებავთ? ბძანეთ ნუ გცხვენიანთ.

ასეთი უეცარი ჰკითხვა იყო ესე, რომ უფალ ბალიელს არ შეეძლო მაშინვე საქმე არ გაესინჯებინა.

— საყვარელო შოდიე, უთხრა იმან, მცდელი აღრევისათჳს დამფარავისა: თავი დავანებოთ ფურმენსაც და სატაცურსაც და საქმე დავიწყოთ. ხომ იცით რომ ორმოცი ათასი ფრანკი უნდა მომეცა თქვენთჳს ქორწილ შემდეგ ორთვეს უკან?

— ვიცი, უთხრა შოდიემ გართობილმა.

— მაშ გაიგონე გაიგონე საყვარელო მეგობარო, რაც მოხდა, დაიწყო მოხუცმა გამბედავის სახით,— ხომ იცით მე მგონია რომ ჩვენმა საერთო მეგობარმა ლაბუასიერმა შეადგინა უცხო განზრახვა: შომელსაც უნდა გაკეთება ატლანტიის ორთქლის გემებისა, ფრანციისა და ამერიკის შესაერთებლად?

— ვიცი.

— დიდს სარგებლობას წარმოადგენს ის განზრახვა. თქვენ სიდედრს უფიქრნია, რათა ცოტა რამ იქიდან ისარგებლოს, და,— ამბობდა სიტყვა გაწყვეტით მოხუცი:— და, რადგან ფული იყო ადოლფინას მზითევი ამისათჳს მე და ჩემა ცოლმა ვიფიქრეთ, რომ თქვენ უარს არ გვეტყვით იქიდან ცოტა რასმე დახარჯვას:— ამისთჳს ჩვენ ავიღეთ „აკცია (ბილეთი) ათი ათასი ფრანკისა, იმ წაუხდენელს ატლანტიის გემებზე.

— ვიცი, მიუგო მესმეთ ბენუა შოდიემ ჩვეულებრივის მშუდროებით.

— მაშ თქუენ იცით ყველა? მიუგო ბალიელმა თავისუფლად ამომსუნთქველმა.

— სულ, და სრულებით კი ბოლომდენ არა.

— ვინ გითხრათ, რომ მე ათი ათასი ფრანკი მივეც ლაბუასიერს.

— თითონ ლაბუასიერმა, რომლითაც უფრო იმედეულ მყო რადგან თქუენც ურევიხართ იმის განზრახვაში.

ეტყობა თქვენთჳსაც უთხოვნია ფული?

— მე როგორც ვხედამ და ვგრძნობ მგონი თქუენ უარს არ იტყოდით თუ უკანვე მოგცემდა თქუენს ფულს, უპასუხა შოდიემ, არ მიმცემმა სწორე პასუხისა.

— ესე იგი, მიუგო ბალიელმა უფრო უმეტესად აღრევით:— თქუენს სიდედრს ისე მოუწონა ის აზრი, რომ კიდე უნდა ათი ათასის ფრანკის აკციის აღება და რადგან ის ფული უნდა მივცეთ ჩუენი ქალის მზითვიდან, ჩუენ ვფიქრობთ, რომ თქუენ თანახმა იქნებით სარგებელი აიღოთ თავნის მაგიერათ.

მოხუცი მაშინ მოელოდა პასუხს თავის სიძისაგან, გაუჩალებისათჳს მოსწივა ბურნუთი.

— მე უარს არა ვარ მაგაზე... დაიყვირა ბოლოს შოდიემ, შემდგომ რამდენისამე მინუტის სიჩუმისა.

— მაშ შემიძლიან ლაბუასიერთან დავაბოლოვო ეგ საქმე?

— უძეოეს ზეტყვით. მეცა მაქუს თავისუფლად ორმოცდაათი ათასი ფრანკი, რომელიც მხოლოთ ხუთს სარგებელს

მაძლევს ასჳედ; მეც მაგ შემთხჳევით მინდა ვისარგებლო და მივცე ლაბუასიერს.—

ამ უეცარს თქმაზე, უფალი ბალიელ. რომელსაც ცოცო-ტათ გული გაემაგრებინა, ახლათ ისევ ჩავარდა უწინდელსა-ვე ფიქრში.—

— საკვირველია უთხრა მან:— თქჳენ ბევრი ფიქრი არ იცით საქმეზე. ხოლო საფიქრელი საქმეა! ორმოცდა ათი ათასი ფრანკი სახუმარი არ არის! იცით, რომ საშიშია კჳერ-ცხების ჩაწყობა ერთ კალათში.

— ჯერ ერთი რომ ორმოცდა ათი ათასი ფრანკი არ შე-ადგენს მხოლოდ ჩემ ქონებას, ანუ თქჳენებურად ერთიან კჳერცხებს; მეორე როგორც მე მივხვდი თქჳენი ლაპარაკი-საგან კალათა მაგარი უნდა იყოს.

— მართალია, კარგი აზრია, კარგი განზრახვაა, მაგრამა...

— მაგრამ?

— თქჳენთჳს მე ვგონებ ჰსჯობდეს ნაკლები სარგებელი იყოს და უშიშველს ალაგს....

— გაიგონეთ. თუ თქჳენ ჰფიქრობთ, რომ კარგი საქმეა მე რაღასთჳს მიშლით გარევას; და თუ საიმედო არ არის მაშ ან თქჳენ რისთჳს ერევით?

ამაზე უფალმა ბალიელმა პასუხი ვერ მიუგო. მართლათ ბუნებითად ძალიან ფთხილი კაცი იყო, და არ უყჳარდა მომე-ტებული აღტაცებითი განზრახვები. რაცა შეეხება მამუ-ლის შესყიდვას, მას მხოლოდ უყჳარდა უძრავი ქონება და

მამულსა და შენობაშიაც ჰქონდა გარჩევა. შენობა შეიძლება, რომ დაიწყოს, ამბობდა და მამული კი არაოდეს. რა ნახა, რომ ბანკიდან ყოველ წლიწადს სარგებელი მცირდებოდა, რომელსაც იღებდა თავნიდან, ამის გამო იმ ფულით იყიდა უძრავი ქონება. აკცია, რომელიც აიღო ლაბუასიერისაგან, ძალიან აწუხებდა და არაოდეს არც გეერეოდა იმ საქმეში, თუ არ შინებოდა თჳთ მნებებელის თავის ცოლის ძლისა. მორჩილების გამო თავის ცოლისა, იყო შესული იმ საქმეში, რომელსაცა სარგებლობა ძალიან საეჭვო იყო, რა ეშინოდა ცოლისა, ამისა თჳს არ იქნებოდა არ ექო ის საქმე. გარნა ასლა უკმაყოფილებით იყო რა კი ნახა, რომ სიძეცა მისი ერეოდა იმა საქმეში. რაღა უნდა ეთქჳა იმისთჳს მეტადრე შემდეგ იმისთანა გადაწყჳტილის სიტყჳსა, მისგან ნათქო-მისა? თუ აღვიარებინა, რომ იმისი გარევის მიზეზი სხჳა საქმე იყო, ის თქმა იქნებოდა, რომელ ის არის სხჳათა დამოკიდებულებასა ქჳეშ. გარნა რა ვერ შეეძლო იმ მონების უღლიდგან გამოსვლა, ამასთან ჰქონდა იმტვენი სიამპარტავნე, რომ ჰფარამდა მას.

— ეს არის აი! პატიოსანი კაცი უგუნურს საქმეს მოახდენს, იფიქრა თავისთჳს უფალმა ბალიელმა, და ეს ჩემის ცოლის მოწყალებით კი იქნება, რომელიც გაგიჟებულია სპეკულაციებისა თჳს. აი ჯანაბას იყოს იმისი თავი, ვინც მოიგონა პარახოდები!

შორის იმისა, შოდიე და იმის სიმამრი ბაღში რომ დადიოდენ, ლაბუასიერ განთავისუფლდა მადამ ბალიელისაგან, გარნა არა ჰსჩქარობდა ადოლფინასთან, რომელიცა მას დიდი ხსა-

ნი ელოდა გოსტინაში; მოსაქმე კაცის ფიქრმა დასძლივა დროებით გრძნობიერებითსა სიყუარულსა. დიდის გულ ჩქრო-ლებით მოელოდა პასუხს თხოვნასა მისსა ზედა, უეცრად ნახა, რომ ბენუა და ბალიელ მიდიან იმასთან დაღიდან. 'რათა დახვედრიყო მათ რიგიანათ, 'ცდილობდა როგორც შეეძლო, ეჩუენებინა მოთმენილი სახე და დარწმუნებული თავის საქმე-ზე.

— მგონი თქუენ შორის მცხარე ლაპარაკი ყოფილა? და-იწყო ლაბუასიერ დაუდევნელის ღრეჭით.— უფალი ბალიელ დამარცხებულ ორატორსა ჰგავს. აბა, შავი თუ თეთრი?

— თეთრი, მიუგო ხუმრობით მოხუცმა.

— მაშ თანახმაა, საყუარელი შოდიე ჩუენ პატარა საქმეში გარევისა?

— პირობით, მიუგო ცივათ ადოლფინას ქმარმან.

— ვნახოთ რა პირობა იქნება, მიუგო სპეკულიატორმა, და სიმხარულე მისი განჰქრა.

— აი ესა: გარდა იმ აკციებისა, რომელიც მიეცით ჩემს სიმამრს მეც მომეცით ორმოცდა ათი ათასის ფრანკისა.

რა ნახა, რომ იმის ბებერს ბუდეში ებმის სხუა ბუზი, უმსუქნესი, ჩუენი ბებერა შეძრწუნდა სიხარულისაგან, და ძლივს დაჰფარა აღტაცება თჳსი.'

— თქუენ გინდათ ორმოცდა ათის ათასის "ფრანკისა? არ ვიცი ჭეშმარიტად, შესაძლებელი იქნება თუ არა.... ძალიან წუხარ, რომ წინდაწინ არ მატყობინეთ.

— როგორა, მაშ აკციები აღარა გაქჳსთ? ჰკითხა უფალმა ბალიელ:— მაშ ისე რათ მაშურებდით და მთხოვდით ხდე-ბასა?

— ეგ სხჳა შემთხვევაა, მიუგო აურევლად ლაბუასიერმა:— მართლათ კი ძალიან ცოტაღა დამრჩა აკციეები, მაინც მზა ვარ სამსახური გაუწიო უფალს შოდიეს რაც უნდა იყოს. მგონი თქჳენ მიბრძანეთ სამოცი ათასი ფრანკი!

— ორმოცდა ათი ათასისა.

— ჰო სამოცი ათასი შეიქნება ათა ათასი ფრანკი უფალი ბალიელისა რომ შეერთდება. კიდევ კი უნდა მოვილაპარაკოთ იმაზე; შეგიძლიანთ ხვალ ჩჳენთან მოსვიდეთ?

— მე ეს იყო თჳთონ უნდა მეთქჳა თქჳენთჳს; პირჳელ საათზე თავისუფალი იქნებით?

— სრულებით თავისუფალი.

— მაშ პირჳელ საათზე გამოვცხადდები თქჳენთან ფულებით, რომელთაც გამოვართმევ ჩემს ნოტარიუს.

— მოიტა ხელი! პირჳელ საათზე! დაიყვირა პროჟექტორმა (ანუ განმზრახმა) წაუჴდენელის ორთქლის გემებისამ, რომელიც ძლივს იჭერდა აღტაცებითსა სიხარულსა.

რამდენსამე ხანს შემდეგ ლაბუასიერ რა ჯდებოდა კაბრიოლეტში, თავი დაუკრა მადამ შოდიეს და ჩუმათ უთხრა ყურ-ში, ერთი იმ სიტყჳათაგანი, რომელნიცა იმისთანა როლს თამაშობენ ტრაგედიებში და რომანებში: შუაღამე.

დ.

შემდეგ ლაბუასიერის წასვლისა, ჩვეულებრივის ერთ ნაირობითის მოდინარეობასა იმა საღამოის დროსასა არა რა შესვლოდა. მადამ ბალიელ აღარ გამოდიოდა და მეათე საა-თამდენ ყველანი წავიდნენ თავ თავის ოთახებში. ნელ ნელა სიმყუდროე მოიცვამდა და შეიძლება ვთქვათ, რომ სახლში ყველანი ნებიერს ძილს გემოვნებდენ. თერთმეტი საათი დაჰკ-რა იმავე მინუტში ერთი ოთხის კარები გაეღო ნელ ნელა და იქიდან გამოვიდა დედაკაცი სამთელ მჭირავი. მოჩვენება ესე გარნა საკმაო ხორც შესხმული ჩავიდა ძირს ეტაჟში ძალიან ფთხილის ბიჯით; ამა მოჩვენებამ, გაიარა აქა სტოლოვოის ოთახი, შემდეგ კორრიდორი და მივიდა კარებთან, ესრეთ მსწრაფლათ გადაატრიალა რაზა. რომელ თითქმის სრულებით არ გაიჩხარუნა.

ამ უეცარ შესვლაზე. ადოლფინამ, რომელსაც თვალი ეგ-რეთვე არ მოეხუჭა, ძლივ დაიჭირა დაკივლება შიშისაგან. მას ეშინოდა გარედან და არაოდეს არ მოელოდა შინაგანსა დაცემასა. რა იცნო დედა თჳსი, რომლისაცა სახე, სამთლის შუქით განათლებული წარმოდგენდა სიანჩხლესა და აღშფო-თებასა, ადოლფინა უფრო აირივა.

— ეს თქვენა ხართ დედა? უთხრა, სჩქაროთ ამდგომა: რა დაგმართვიათ? ავათ ხომ არა ხართ?

პირველად მადამ ბალიელის თვალმა შეხედა ფანჯარას; ფარდა ჩამოშვებული იყო,

— ხომ არა გნებავთ რა? ჰკითხა ადოლფინამ, რომელიცა-

უმეტეს აირივა, რა ნახა დედის მოძრაობა:- ხო არა გნებამთ დაუმახო მადლენას?

— არა, საჭირო არ არის, მიუგო მძიმეთ მადამ ბალიელ:- მარტო შენ უნდა გაიგონო, ჩემთან წამოდი.

— სადა? ჰკითხა ადოლფინამ მომეტებულათ შეწუხებულმა.

— ჩემ ოთახში; იქ უფრო კარგი იქნება.

ქალი მორჩილებით გაჰყვა დედასა. ნახვის საათი ახლო იყო და შესაძლებელი იყო, რომ ლაბუასიერ ამ ხანში შემოსულ იყო ოთახში; იმისი მოსვლა ახალ შეწუხებას უმატებდა მას: ეხლა იმედი ჰქონდა თავს გადივლებდა საყუედურს როგორც იქნებოდა.

მადამ ბალიელ, რა შევიდა თავის ოთხში, დაკეტა კარები, დაჯდა ადოლფინას პირდა პირ და დაუწყო ყურება მას ეგრეთ, როგორათაც უყურებენ მსაჯულნი კითხჳს დროს შემცოდესა, რომელთაცა ჰსურთ იმა შემთხუევითა შეიტყონ შინაგანი გრძნობა მისი.

— გაიგონეთ, უთხრა მადამ შოდიემ ძალადატანებითის ღიმილითა:— თუ ხელი არ აიღე მაგრე ჩემ ცქერაზე, მე ვიფიქრებ, რომ თითქო ისევ ყმაწვილი გასათხოვარი ქალი ვარ და გინდათ ბნელ ოთახში დასმა ჩემ დასასჯელათ.

— ადოლფინა! მიუგო ღირსებით მადამ ბალიელ:— ღმერთმა ქნას, რომ შენი შეცოდება მხოლოთ ითხოვდეს ყმაწვილურს დასჯას; ჩემი გული ასრეთ არ მოიწყლოდა, თუ კი შემეძლოს შენი გადახდეინება ისრე, რომელ სიყუარული ჩემში არა დაიკარგოს.

— დედავ! დაიყვირა ყმაწვილმა ქალმა, შეხვეწნისა ხმითა პასუხათ დედასა მის აღმატებულს სიტყვებ-ზედა.

— დიახ, მე დედა ვარ შენი და ეგა მგლამს! შენი კეთილი დედა, გესმის თუ არა? თუმცა ვარ ფრიად შეწუხებაში მიცე-მული შენის მიზეზით, მაინც კიდევ შენი საწყალი დედა ვარ, შენით უნდა თავმოწონებული ვამპარტავნობდე და შენ მხო-ლოდ მწუხარებაში მაგდებ, შენის ცუდის ქცევის გამო!

თუმცა სიტყვები ამისთანა იყო, გარნა ლაპარაკი არ იყო გრძნობიერი, რადგან იყო უმეტეს წარმოთქმული სიანჩხლით, მინამ ნებიერობით. მაინც მადამ ბალიელ, საჭიროთ შერაცხა ხელსახოცის თვალებთან მიტანისა.

— რა დავაშავე? რისთჳს მიწყრებით აგრე? ჰკითხა ადოლ-ფინამ მძიმე მოთმინებითისა სახით.

— რა დავაშავეთ ქალბატონო? მიუგო მადამ ბალიელ და შეხედა ამპარტავნულის შეხედვით ყმაწვილს ქალსა: — განა კიდეცა ჰბედამთ და მკითხამთ? იქნება ჰფიქრობდეთ, რომ მე ბრმა ვიყო, ან გეგონოთ დედის მოტყუებაც ადვილი იყოს, როგორათაც ქმრისა? მე თქუენ გეუბნებით, ყველაფერი ვიცი. ეგ არის ჩემი დაუძინებელის შრომის ნაყოფი. ეგ არის ჯილ-დო ჩემის შენი ნებიერათ აღზრდისა? ხუთ თვეს უკან შემდეგ ჯვარის წერისა უნდა დაივიწყოს თანამდებობა თჳსი, გატე-ხოს ფიცი თჳსი, შეურაცხ ჰყოფდეს კეთილშობილს კაცს, თავის ქმარს, რომელზედაც მცირედი ცუდი არა ითქმის რა! საშინელებაა ესა!

— მე არ მესმის თქუენი, მიუგო ადოლფინამ, დაბლის ხმით.

— ა! თქვენ არ გესმით ჩემი! ეხლავ გაიგებთ! კაცი ურწმუნო, არა მქონე პატიოსნებისა, სვინიდისისა, მოკლეთ, უფალი ლაზუასიერი თქვენი საყვარელი!

— ტყუილია ეგა! დაიყვირა მაღლად მადამ შოდიემ. მადამ ბალიელმა გაიცინა.

— ტყუილია ამბობთ? დღეს? იქნება! გარნა ხვალ იტყუდით, რომ მართალია, თუ მე არ მოვსულიყავ თქვენთან, რომ მოგარჩინოთ? მაშ ტყუილია, რომ იმ კაცს ბაღის გარების გასაღები აქჳს, და იქნება რამტვენისამე მინუტის შემდეგ შენ ფანჯარასთან იყოს? მართალია თუ არა? მიბრძანეთ?

ადოლფინამ რა ნახა, რომ საიდუმლო მისი იყო თჳსის დედის ხელში, სრულებით აირია, და როგორათაც ადრევ სუმრობით არა თქვა, მართლათ ისევე უმაწვილათ გარდიქცა. თავი ჩაღუნა, ლოყები ენთო თითქო მოელოდა საშინელს გადაწყვეტილობასა.

რა დასტკბა თავის ქალის აღრევითა, მადამ ბალიელ ამზობდა მომატებულის მხურვალებით:

— ხვალ მოვილაპარაკოთ ამაზედ დაწვრილებით; მანამ ქს კმარა. თქვენ აქ დარჩით მანამ მე მოვიდოდე.

— სად მიხვალთ? ნელა ჰკითხა უმაწვილმა ქალმა.

— იქ მივალ უნდა მივიღო ის კაცი, მიუგო ტრაღედიულად მადამ ბალიელმა.

— როგორ! თქვენ გინდათ,...

— დიახ, მე მინდა! დამანებეთ თავი!

— როგორ შეიძლება ეგა, უთხრა ადოლფინამ და მივარდა კარებთან.

მადამ ბალიელმა უთუოდ იცოდა ესე წინათვე, დაუჭირა ხელები და საკვირველათ მარდათ ჰკრა ხელი და შიაგდო შუა ოთახში.

— აქ იყავით! უთხრა მან იმ სახით, რომელიც ზედაც უარი არ შეიძლებოდა,

მანამ ადოლფინა მოვიდოდა გონებას, მანამ მადამ ბალიელ გავიდა, გაიკეტა კარი და გასაღები თან წაიღო. შემდეგ შევიდა თავის ქალის ოთახში; პირველი იმისი საქმე იყო ფანჯრის გასინჯვა, რომელიცა, როგორათაც თჳთონ მოელოდა, ღია იყო.

— ყველაფერი მზაა, ჰფიქრობდა იგი თავის თჳს, არაფერი ცვლილება არა მაახდინა რა ოთახში, ფარდა ჩამოუშო, სანთელი გააქრო და მხოლოდ ლამპა გაუშო გაუქრობელი. რა ეს აღასრულა, თითონ დაწვა ერთს მოშორებულს ბნელს კუთხეში და მოუთმენლად მოელოდა იმ დანიშნულს საათს, როგორათაც მონადირე თჳსა მსხვერპლსა. ესრეთ გავიდა საშინელი ნახევარ სა თი, რომელიცა მას ეჩვენებოდა ნახევარ საუკუნეთ.

ამის შორის, ზეით წარმოებდა სხვა ჰსცენა, არა ნაკლები სასიამოვნო სანახავათ.

ბენუა შოდიე დაწოლის მაგიერ, რა ბალიდან დაბრუნდა დაუდგომლათ წინ და უკან დადიოდა ოთახში, როგორათაც

კაცი, გართული დიდისა რისამე განძრახჳსა. ხანდისხან შინჯამდა იგი ქაღალდს, რომელიც იდო მარსელურს წიგნში, და იმ ხელს ათანასხმებდა სხჳა ქაღალდების ხელთან, რომლითაც სავსე იყო ბიურო მისი. იმავე დროს არ იშლიდა ჩუმათ სიარულს და ხელების ერთი ერთმანეთზე სრესას. ბოლოს ორ საათს შემდეგ დადგა იგი და თავისა თჳს ჰსთქჳა:

თუ მე დავიწყო მოქმედება რჩევა უკითხავათ, ცოტა ურიგო იქნება ესა, გულ წრფელ კაცათ მიყურებენ და არ მინდა ეჭვი რამ იფიქრონ ჩემზე; მე არ მინდა, რომ ამ აზრზე იყჳნენ. ჩემი სიდედრი მთელს სახლს საითაც უნდა იქით ატრიალებს, იმას უნდა წინათჳე შევატყობინო, და დღესვე; ხვალ ველარა ვნახავთ ერთმანეთსა. გვიან დაწვება ხოლმე ძილათ; მე კიდევ მოვასწრობ მასთან მოლაპარაკებას,— და შოდიემ უეჭჳელად გადაწყვიტა, რათა აღესრულებინა განძრახჳა თჳსი.

თითქმის შუაღამე იყო, როდესაც ის თავის ოთხიდან გამოვიდა და წავიდა სიდედრთან.

რა მივიდა კარებთან, შოდიემ ნელა დაარაკუნა კარები; ჩჳენი ტუსაღი შეძრწუნდა და ხმა არ გასცა.

— მე ვარ, უთხრა მან ნელის ხმითა, და არაკუნებდა კიდევ:— გააღეთ! საჭირო საქმე მაქჳს უნდა გითხრათ.

იცნა რა ხმა ქმრისა თჳსისა, ადოლფინამ პასუხის მაგიერ, ასე გასინჯეთ სულის სუნთქჳს დაიჭირა.

— დაუძინია ეტყობა, წაიბურტყუნა გაჯავრებულმა ამა ფიქრისამ შოდიემ, და უნდოდა უკჳე წასვლა, გარნა სანთ-

ლის მუქმა დააყენა, რომელიც გასაღების ალაგიდან გადიოდა.

— თუ ჰსმინავს, სანთელი რაღათ უნთია! იფიქრა იმან:— მგონი ქვეშაგებში წიგნის კითხვის ჩჳეულება არა აქჳს. არა უთუოთ არა ჰსმინავს, და მგონი გასულა სადმე; ეს არის სად? ასე დაგვიანებულ დროში? ბალიელთან არ წავიდოდა, იფიქრა ახალმა დაქორწილებულმა, რომელიცა შინაგან იცინოდა. უთუოთ თავის ქალთან იქნება, თუ არის იმასთან, სხჳასთან არავისთან. უკეთესი; ადოლფინასაც უნდა გამოუცხადო და ერთად მოვრჩები. ფიქრი და აღსრულება ერთი იყო. ერთს მინუტს შემდეგ, რაზის თავი უკჳე ეჭირა ხელში ცოლის ოთახის კარებისა, ვნახოთ ამ დროს შამოესმა კაცის ხმა; ამან შეაყენა იგი. რა ნახა რომ აქ საქმე არის დამოკიდებული პატიოსნობასა ზედა, მაგიერ გაჯავრებისა, სიანჩხლისა. შოდიემ უცხო საქმე იხმარა; ცივის სისხლით გააქრო სანთელი და დაუწყო კარებთან ყურის გდება. პირჳელსავე სიტყჳაზე იცნო მან, რომ სიდედრის ხმა და ლაბუასიერისა იყო; სჩნდა, რომ ადოლფინა იქ არ იყო. იმისმა იქ უმყოფლობამ დაამშვიდა იგი, მაგრამ შეტყობის სურვილი არ განექრა. რაოდეს რიგიანათ ნათამაშევს დრამას არა ჰყოლია ესრეთი ერთგჳლი მსმენელი; ბენუა შოდიემ ერთი სიტყჳა არ დაჰკარგა იმ გახურებულის ლაპარაკიდან.

ქ.

ღიუსტავ ლაბუასიერი, როგორათაც სხჳანიცა საყჳარლები, ბეჯითად იყო; ხუთის მინუტის დანიშნულს დრომდენ, იგი უკჳე იყო ბაღის კარებთან, ხოლო შუაღამეში ჯსწორედ მივიდა ადოლფინას ფანჯარასთან. რა განთავისუფლდა თურ-ქის აღერსიდან, მძებნელმა შემთხჳევისამ ადრევე გამოიცნო, მანამ ნახამდა, ფანჯარა, რომელიც იყო დანიშნული იმის შესვლისა თჳს. ყოვლის წინააღმდეგობისა გაღო მან იგი. გზა გახსნილი იყო, აღსრულების მეტი საჭირო არა იყო რა. ერთი სკუპით ოთახში უკჳე იყო იგი; მაშინ ლაბუასიერმა დაკეტა ფანჯარა და ჩამოუშო ფარდები.

— სასურველო ადოლფინავ! მე თქჳენ გვერდით გახლავარ, უთხრა მან სიტკბოებით, რა ნახა ოთახის კუთხეში შავათ ადამიანის ჩრდილი.

პასუხი არ მისცეს; გარნა რაჲცა შეეხებოდა გარემოებას, იმა სიჩუმით არა შეშინდა ისა. გაბედვით მივიდა იმა პირი-თან, რომელიც მას ეგონა მადამ შოდიე, რომელიც ამ დროს უეცრათ ადგა წინაშე მისა, სინათლე მოუმატა ლამპას, და მისთანა მოქმედებით, რომელიც სცენაზე საკვირველი იქნე-ბოდა, გაუნათლა მცნობი სახე თჳსი. ლაბუასიერი თუმცა გამბედავი და სიტყჳა მარჯჳე იყო, ასე შეკრთა, რომელ რამ-ტვენიმე ნაბიჯი გადადგა უკან და გამოარდა ჩვეულებრივის პატივის საცემსა სამძღჳარსა.

— ადოლფინა არ გახლავთ, დაიწყო მადამ ბალიელ წყრო-მის სა ხით:— მე ვარ კაცო უსვინიდისო და უპატიოსნოვ.

ამისთანა ძნელ საქმეში, სხვა სრულებით გონებას დაფანტამდა, გარნა ლაზუასიერ იმათგანი არ იყო. რა განუქრა მას პირველი გაოცება, ისევე მიიღო ადრინდელივე გამბედაობა, და მხნეთ გაუძლო, გაბრწყინვებულს ადოლფინას დედის თვალების ყურებას.

— სალამი მშვიდობისა ქალბატონო! უთხრა მან ამაყ დაუდევნელობით: — როგორც თქვენი 'თვალებისაგან ვხედავ, სასიამოვნოთ არის ჩემთჳს, რომელ ეტყობა თქვენი შაკიკი მოგშვებიათ.

— საძაგელო! წაიბურტყუნა ნელის ხმით მადამ ბალიელ.— უმაწვილმა კაცმა ქუდი მოიხადა და პატივის ცემით თავი დაუკრა.

— უმადლოვ, ფიცის გამტეხო! ამბობდა მომეტებულის სიმხურვალით ქალი.

ამ სიტყვაზე ლაზუასიერმა, პასუხის მაგიერ, უფრო დაბალა დაუკრა თავი.

— გლახავ! დაიყჳრა ბოლოს მადამ ბალიელ მომეტებულის სიანჩხლით.

— ეხლა ნება მიბოძეთ, რომ შეგინიშნოთ, რომელ სიანჩხლე თქვენ გაცთუნებთ, უთხრა მან ირონიულად (**ироническій**) დაცინებითის ღიმილით— გლახას ეკიპაჟი როდი ექნება, და მე კიბესთან მიდგას.

— მადლობა უმეცართ, რომელნიცა აგრე თვალ დახუჭვილნი ჰენდობიან, მეც კი მაგ ანგარიშში ურევივარ.

— თქვენ თქვენს თავზე ტყუილათ მზაკვარებთ, აგრეთვე ჩემზე, ქალბატონო; მგონი თქვენ საკმაო ჭკუა გაქვთ, რომ თქვენ ნებას არავის მისცემთ მოტყუებისას, ხოლო მე უფრო მაკლია...

— სიპლუტე? უკაცრავათ, თქვენ ერთი ორათ მეტი მომტებულათ გაქვსთ, მინამ საჭიროა; გარნა გაკლიათ ერთი ღირსება.

— რომელი? ნება მომეცით გკითხოთ.

— სიფთხილე; თქვენ ადრევე უნდა გეფიქრებინათ, რომ მე თქვენი მტერი შევიქნებოდი საშიში, შეურიგებელი, შეუწყნარებელი!

— არა გნებავთ დაბძანდეთ, ქალბატონო? უთხრა ლაბუასიერმა საწყენათ ცივის სისხლითა; მე ვხედამ, რომელ ჩვენი ლაპარაკი გრძელი იქნება და ღირსი სმენისა, და მე არ მიყვარს ზეზე დგომით ლაპარაკი.

თხოვნას აღარ მოუცადა, ჩაეგდო კრესლაში და გაიწოდა ფეხები შინაურულათ, თითქო თავის სახლში იყო. იმის მაგალითს არ მისდა მადამ ბალიელმა და დრამატურღულათ (თიატრულათ) გამოიჭიმა.

— ესლა ქალბატონო, მიუგო ლაბუასიერმა:— თუ გნებავთ საუკუნოს დასრულებამდე გელაპარაკებით; როგორც მე თქვენ სახეს ვუყურებ ადვილი გამოცნობია, არის აღრეული ტრაღედიულის გრძნობით. გთხოვთ ესლა მიბრძანოთ, რით გაგარისხეთ თქვენ?

— უცხოა, აქა ხართ და კიდევა მკითხავთ ჩემის გაწყრო-

მის მიზეზს! დაიყვირა მადამ ბალიელ ამპარტავნებით.

— ჰო! მესმის, უთხრა ლაზუასიერმა.— ჩემი ამ ოთახში ყოფნა თქვენ თვალში დიდი შეცოდებაა; მაგრამ, იქნება მე რომ იქ ვიყო, ზეით, მაშინ ადვილათ შომიტევებდით?

ასე რომ ამბობდა ზეით ლამფას აჩვენებდა, რომელ ზედაც იყო ოთახი მადამ ბალიელისა.

ამ საშინელს უგვანო შეურაც ჰყოფაზე. მადამ ბალიელმა ხელები დაიფარა პირზე.

— ღირსი ვარ მაგ გაკიცხვისა, მიუგო მან გულ ამოსჩვნილის სიტყჳთ:— გარნა კეთილ შობილი კაცი არ ისარგებლებდა მაგით.

— პატიოსნება, ქალბატონო ეკუთვნისთ დედაკაცთ და მამაკაცთ, თქვა შეუწყალებელმა ლაზუასიერმა.— ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველი გასაკიცხავი სიტყვა არის ორ პირი მახვილი; რიგიანათ უნდა ხმარება, თორემ დასჭრის. რასა ნიშნამს, რომ თქვენ აქა ხართ? რამ მოგიყვანათ აქა? რა განძრახვა გქონდათ?

მადამ ბალიელ, ისე ბძანებლობდა თავის ქმარზედ, ქალზე და სიძეზე, და აქ კი თითქო დაკარგა სრულებით სიმხნევი თჳსი კაცის პირ და პირ, რომელსაც თავის სისუსტის გამო მისცა ძალა, რომელიცა ისრე შეუწყალებლათ ხმარობდა მას.

ადოლფინა გიყვართ? უთხრა მას წაჩურჩულებით.

— არა და ვისი ბრალია? ჰკითხა მან გაგმელებით.

— თქვენ მაგას აღიარებთ? დაიყვირა ქალმა მთრთოლარემ

— მა რა მეტი ღონე მაქჳს, გეფიცებით! თუ მართალი გინდათ, ძალიან გულით მინდა თქჳენი მოტყუება; გარნა ამ წუთში, რა ჩავარდნილი ვარ მახეში, რომელიც თქჳენ მოგიმზადებიათ ჩემთჳს, არ შემიძლიან არაოდეს ტყუილის თქმა; და მაშ ჳსწორე უნდა გამოგიცხადოთ და აღვიარო ჩემი შეცოდება, გარნა სრულებით პასუხის მგებელი მე მარტო არა ვარ; თქჳენც დანაშაული გაქჳთ.

— მე?

— დიახ, რადგან თქჳენ მე მამტყუნებთ, ნება მომეცით თავი ვიმართლო; ეს სამი წელიწადია რაც მე გაბმული ვარ თქჳენის ჯაჭვით; ხოლო ეს მიბძანეთ ვინ მირჩევდა მე, რომ მეჩჳენებინა სიყჳარული თქჳენი ქალისათჳს, რომლისთა დაფარულ იყო ყოველი ეჭვი თქჳენის ქმრის მხრით? თქჳენგან არ იყო? უცხო რჩევა იყო და მე მივყე დარიგებას ყოვლის ჩემი ბეჯითობით. რა გამოვიდა იქიდან? ძალიან ჩჳეულებრივი საქმე, რომელიცა თქჳენ უნდა ადვილათ წინათვე გეგრძნოთ: შეყჳარებულის როლს ვთამაშობდი, მართლათ კი შემიყჳარდა.

— როგორა ჰბედამთ და ამეორებთ თქჳენს მაგ ლაპარაკს? მიუგო მადამ ბალიე, რომელიცა ხელში დანასა ჰჭეცდა. სპილოს ტარიანს.

— კარგი რომ ეგ ხანჯალი არ არის, თქჳა ლაბუასიერმა დაცინების სიცილით.

— აღტაცებულმა სიანჩხლისაგან, მოტყუებულმა დედაკაცმა დაიჭირა ორსავე ხელებში დანა გატყდა და ნამტვრევი მიუყარა ფეხ ქვეშ ორგულსა საყჳარელსა.

— ხანჯალი ცუდი იარაღია სისხლის ძიებისათჳს, უთხრა ქალმა:— მალე ჰკლავს.

— ჩუჱნ გვაქუს ნელი საწამლავი, მიუგო ღიუსტავმა გაცინებულმა.

— რაც უნდა სიტყუა მარჯუჱ იყო, აგრე ნუ გგონიათ, თქუჱნ ვერ ასწავლით ქალს სისხლის ძიებას. აქ არ იქნებიან მოქმედებაში არც ხანჯალი არც საწამლავი; მაგრამ თქუჱნი დაქცევა, თქუჱნი სირცხვილი, იქნება ჩემი თქუჱნდამი— შურის გება! ხედამთ ამ დანას.... ერთ თვეს უკან თქუჱნც აგრე გაგხდით ჰსწორეთ.

ლაბუასიერმა აიღო დანის ნამტვრევები დახედა მას ძალდატანებითის შეწუხებით.

— იცით რა? თქუჱნ მე მაშინებთ, მიუგო მან ურცხვის სახით.— გონიათ მეც ისეთი ხმელი ვიყო გასატეხათ, როგორათაც ეს ძვალი.

— გაიცინეთ! მიუგო მწუხარის სახით, მადამ ბალდიელმა:— გაიცინეთ, მანამ სხუჱბი გაიცინებდენ თქუჱნზე.

— თუ ვიცინი, ქალბატონო, იმიტომ რომ მე ვხედავ თქუჱნს ხუმრობას და სიბრიყუჱ იქნება ჩემგან თუ მეც ხუმრობით არ მივიღე.

— ჩემს ხუმრობასა?

— მაშ რა დავარქუა მაგ მუქარებს? თქუჱნ მგონი არ ინებებით, რომ მე ეგენი სერიოზნათ (მართლათ) მივიღო?

— მე მგონი სერიოზნი იყოს, მიუგო გაჯიცხულმა ქალმა

— მაშ იქნებით და განმიცხადეთ ყოველივე. თუ გიამებათ თავით ფეხამდე თრთოლას დავიწყებ; მაგრამ მაინც კიდევ არ მესმის რისთჳს?....

ამ სიტყვაზე მადამ ბალიელმა ასეთი მრისხანე თვალით შეხედა თავის უწინდელს საყვარელს, რომელშიაც გამოიცხადებოდა სიძულილი, რომელნიცა სშირად არიან შემდეგ შეცთოდებითსა ვნებათა შინა.

— მე სუსტი ვიყავ და თქვენ ბრმა გეგონეთ, უთხრა ქალმა ნელის ხმით.— ორჯერ მეტად გამოსცადეთ ჩემი თქვენდამო ერთგულება. დაჩვეული მოტყუებისა, თქვენ თქვენს კეთილის მყოფ ქალში ხედამდით მხოლოთ.... ლაბუსაიერს უნდოდა ლაპარაკი.— ხმა არ ამოიღოთ! ქალისა თჳს ის სახელი საშინელია! მე მისგან ვწითლდები. არც მე და არც თქვენ არ შეგიძლიათ ამის გადარქმევა.... თქვენი კეთილის მყოფი დედა კაცი რადგან იყო ერთგულობით ბრმა, რა საკვირველია შენისთანა კაცისა თჳს მოტყუება იყო ადვილი და მაზე იყო დაფუძნებული თქვენი საქმე. თქვენ ვერ მიხვდით, რომ იმ ქალს შეეძლო ჰქონიყო სიყვარული მის კაცისა უპატივცემოთ; ეს იცით თუ არა. თუ ჯერ არ იცოდით. თქვენი ეგ ვაჭრობითი ანგარიში, ამაღლებული სახელები, რომელსაც თქვენ ირქმევდით, ნისია, რომელთაც თავი მოგწონდათ, გარეგანი ბრწყინვალება, ფაიფურობა, რომელთაც ხართ შეცული, სულ ეგ მოჩვენებაა პლუტობაა! თქვენ არაფერი არა გაქვთ რა.... მაგრამ უკაცრავად! მე შევცდი, თქვენ კარგი სასარგებლო საქმე გიჭერიათ ხელში, თუმცა ეგ საქმე მართებლობისაგან დევნული....

— ქალბატონო! დაიყვირა ლაბუასიერმა, წამომხტარმა სიანჩხლით.

— დამშვიდდით! ჯერ მე სულ არ გამიითავებია, მიუგო მადამ ბალიელ:— მე თქუენ გიცნობდით და ასე გავსულელდი, რომ მე თქუენ შეგიყუარეთ. იმედი მაქუს ეგ დანაშაული მეპატიება; რადგან საქმე ესე თჳთვე მსჯის. რა თქუენ გიცანით მე თქუენ გემსახურებდით დაუზოგავათ თავისა, შენი მხარე მეჭირა და ყუარლას ვარწმუნებდი თქუენს სიცრუით მოგონებაზე. თქუენი გულისთჳს არა ვზოგავდი და თითქმის ვღუპავდი ჩემ საკუთარ ქონებას; ჩემ ქმარს მე არ მივაცემინე ჩემი ქალის მზითვიდან ფული? დღესაც, თქუენთჳსვე მე მზა ვიყავ ვიდევ მომეხდინა ეგ საძაგელი საქმე.... დიახ, საძაგელი; ამისთჳს, რომ მე ვიცოდი სადაც ის მოცემული ფულები წავიდოდა. აი მე რა ვქენ თქუენთჳს, და აი თქუენ როგორ სამაგიეროს მიხდით! ო! ღმერთი მართლ მსაჯულია! მე დიდი დამნაშავე ვარ.

მადამ ბალიელ პირზე ხელი მიიფარა და დაჩუმდა, სახე მისი წარმოადგენდა მწუხარებასა და სისუსტესა.

ბევრჯელ დაივიწყებენ შეურაცხ ყოფასა, გარნა ხშირათ აპატიებენ? მათ, რომელის შეურაცხ ჰყვეს, თუ ლაბუასიერისა თჳს ედალატნათ იქნება შესაძლოც იყო, იმისი ბოროტი ხასიათი დარბილებულ იყო წინაშე დამნაშავისა; გარნა რა ნახა ქალი ასეთსა ვნებასა შინა, რომლისა ხიმეურდღოე მის თჳს იყო ჩალათ, მოვიდა იგი მხეცურსა უანგარიშოსა სიანჩხლესა.

— სტირით? ცივათ უთხრა მან.— ტყუილათ! მე არ გირჩევდით; მაგითი მოაკლდება რამ თქჳენს სიმშჳენიერეს, მეტადრე პირის ფერს.

— ახ! მართლა მე დამავიწყდა, რომ ფერი მაქჳს წასმული, დაიყვირა მადამ ბალიელ აკანკალებულის ხარხარით.

ხელსახოცი მიიდო თვალებზე და შემდგომ აჩჳენა თავის შეუბრალებელს სახე თჳსი: აღრევა შეიცვალა სიმყუდროვეზე, გარნა სიმყუდროვე იგი იყო უმეტეს ხაშიში; მინემ სიანჩხლე.

— ახლა იცოდეთ მიუგო ქალმა:— ეს საჭიროა თქჳენთჳს საცოდნელათ იქნება ცოტა მოიფუშოს სიმტკიცე თქჳენის სულისა: მე ყოვლისა ჩემისა მეცოდინეობითა ვიბეჯითებ. თქჳენს დაღუპვას, ისრე ბეჯითად, როგორათაც პირჳელათ ვბეჯითობდი თქჳენს სამსახურს. გულის მხრიდამ დაუმარცხებელი ხართ; და იმ მხრიდამ არ დავიწყებ მე.

— მაშ თქჳენ ემუქრებით ჩემს ქონებას? ჰკითხა ლაბუსიერმა დაუდევნელის სიცილით.

— კარგი ქონებაა! მე თუ სელი ავიღე ერთიან ჩაიფუშება.

— თქჳენ მაგას არა იქთ.

— დაწყებულიც არის.

— მართლათ?

— მე დაგპირდით სასვალიოთ ათი ათას ფრანკს.....

— მე იმედი მაქჳს, რომ მივიღებ.

— ტყუალათ! მე თქჳენ გირჩევთ სხჳაგან მონახოთ სადმე.

— ლაბუასიერ ჭყურო ნებიერათ გაიშიშა კრესლაში, უმაღ-ლე აიღო თავი.

— ეხლა სასიამოვნოთ ვხედავ, რომ ჩუენ გამოცანის ბო-ლოსთან მივედით. აქამდენ უბედრება, ოხვრა, ქვითქვითი, წყევა და სხუა ამ გუარი საქმე იყო პირუელი მოქმედება თქუენის კეთილ მეტყუელებისა. მე უნდა მეთამაშნა ვნებებ-ლობითი როლი გამგონისა და არ შეიძლებოდა, რომელ მეც თქუენთან მეტადრე ვნებაში და ტანჯუაში ვყოფილ ვიყავ. გარნა რადგან ეხლა დაიწყობა ნამდვილი ლაპარაკი, ამისთჳს გთხოვთ ნება მომცეთ მეც ერთი ოდენის სიტყჳსა. უმორ-ჩილესათ გთხოვთ, გამიგონეთ ერთს მინუტს რიგიანათ!

ლაბუასიერ შედგა და თქუა ამაღლებულის სახით:

— აქ წინაშე თქუენსა არის კაცი ორის სახესა შინა: ერთი მხრით სოფლიური, მეორე საქმითი. უწორეს მოგახ-სენებ, პირუელს აქუს თქუენთან დანაშაული. დამიძახეთ მე ფიცის გამტეხი, უმადლო, დონსუანი, ლოველასი *, ეგ ყვე-ლა მართალი იქნება; რომ მოკლეთ ღირსი ვარ! ასე ლაპა-რაკობს სოფლიური კაცი. მოქმედი კაცი სულ სხუაა! ამის თჳს თქუენს მსაჯულებას და უფლებას ჩემს ბუმაყნიკზე მე სრულებით არ აღვიარებ და არც მოგცემთ ნებას ერთის სიტყ-ჳთ: მე კარგა განვარჩევ სპეკულიატორს (გამომრჩო კაცსა) საყუარლისაგან, და ვგონებ, რომელ პირუელს არ მოუხდება სრულებით გადაიხადოს ვალი მეორისა. ხვალ უფალი მო-დიე უნდა მოვიდეს ჩემთან აკციის სახყიდლათ. მე მაქუს იმე-

*) ლოველასი იყო პარიჟში პირუელი მოარშიყე.— რ.,..

დი, თქუჱნ ამტვენს სიკეთეს ისმარებთ, რომელ არ დაუშა-ლით საქმის დაბოლოებას.

— შოდიე არ მოვა თქუჱნთან, უთხრა მაღლა მადამ ბა-ლიელ.

— მოვა, მიუგო სპეკულატორმა.

— მე რომ არ მივსცემ ნებას.

— მე თქუჱნ იქამდენ არ მიგიშვებთ, რომ დაუშალოთ.

რა ეს გამბედავი სიტყუები თქუა, ლაბუასიერ ადგა, გულს ხელები დაიკრიფა და ამპარტავნებით აიღო თავი, შეხედა მას დედაკაცსა, რომელსაცა აგიწყდებოდა სისუსტე ოჯხი, ჭკვედამდა წინააღმდეგობასა.

— გესმით ჩემი, უთხრა მან ბრძანების ტონით (ხმით): თქუჱნ არ უნდა უთხრათ ჩემი საქმე არც თქუჱნ სიძეს, არც თქუჱნ ქმარს, არც არავის ასე გასინჯე სხუას; თორემ..., გეშინოდეთ! თქუჱნ დიდი ხანი არ არის რაც ბრძანებდით ჩემს გაუფთხილებლობაზე, თქუჱნს სიფთხილეზე რაღა უს-და ვთქუა? განა დაივიწყეთ უკველი? თქუჱნ ამბობთ რომ ჩემი კრედიტი (ნისია) თქუჱნს ხელში იყოს; მაგის მაგიე-რი თქუჱნი პიტოსნება ჩემ ხელშია. თუ თქუჱნ მავნებთ მეც გავნებთ! მახვილი მახვილზე; ვნახამთ მაშინ ვინ ვის დაამარცხებს. თქუჱნი ქცევა, კეთილი ხმა, რომელიც აქამდინ ფარისევლობით იყო დაფარული, ერთი ჩემი სიტყვით გაუქ-რობ. იქნება გეგონოთ, რომ იმტვენი კეთილ მოქმედებს იყვეს ჩემში, რომელ არა ვსთქუა სიტყუა ისა? ჰა? მე გა-მომრჩო ვარ! (ანუ ჩარჩი) კარგი! ერთი თქუჱნ რაღა ხართ, ქალბიტონო?

— უბედური დედაკაცი ვარ! თქჳა მადამ ბალიელ ღრმათ აღმომხვრელმა.

— ჯერ კიდევ გექნებათ დრო ილაპარაკოთ თქჳენს უბედურებაზე, როდესაც კეთილ მოქმედება დედაკაცობის და სამაგალითო დედების ხარისხიდან, ჩამოგიყვანთ საკადრის ალაგს.

— მგ როგორ შეგიძლიანთ თქჳენა ჰქნათ.

— თუ სუსტი ხსომიერება გაქჳთ, მაშ ნება მომეცით მოგაგონოთ, რომ მე მაქჳს თქჳენგან ჩემთან მოწერილი წიგნები ორმოცდა სამი.

— მაშ არ დაგიწვამთ ისინი, როგორც პატიოსნებით მეფიცებოდით? დაიყვირა გაყვითლებულმა მადამ ბალიელ.

— პატიოსნებით! განა თქჳენ თითონ არა თქჳთ, რომ მე არა მაქჳს პატიოსნება! რისთჳს დაიჯერეთ ჩემი ფიცი? არა, ქალბატონო! მე აგრე უგუნური არსად ვყოფილვარ, რომელ მე დამეწვა თქჳენი მიწერ მოწერის წიგნები; დღევანდელმა ლაპარაკმა დამიმტკიცა სრულებით, რომ მე მართალი 'ვარ. თქჳენი წიგნები იმ გვარი არ გახლდათ, რომ დამეწო, მე თუ გამცხადდა იგინი, მაშინ უთუოთ ძალიან იმოქმედებენ.

— მე კიდევ ვერ გიცნობდით, დაიყვირა ადოლფინას დედამ და დეეცა კრესლაზე; უკანასკნელმა ამბავმა, ეტყობოდა, რომ სრულებით გაათავა.—

გაჩუმდა ისა. ლაბუასიერიც ეგრეთჳე; რა აღარ გაიგონა წინააღმდეგი ლაპარაკი, მივიდა იგი სარკესთან, თმა ჩამოივარცხნა, ულვაშები დაიგრიხა, ღილსტუხი გაისწორა და ბოლოს დახედა საათს.

— აი თითქმის ერთი საათია, თქვა მან,— როგორ ჩქარა გადის საათები თქვენს ახლო! ახლა კი დროა შინისკენ, ხვალ ბევრი საქმე მაქვს, და თქვენთვის მგონი უფრო სასარგებლო იქნება აღრე ძილი, რადგან თავის ტკივილი იცით, და ამისთვის მშვიდობით! ნუ გასჯავრდებით ჩემზე და გახსომდეთ. რომელ შერიგება და ომი თქვენს ხელშია; რაჲცა მე შემეხება, და უფრო მშვიდობიანობა მიყვარს, და ყოველთვის წინააღმდეგ ჩემის სურვილისა ვაჯავრებთ ქალთ. უფალი მოდიე დამპირდა მოსვლას ჩემთან ხვალ პირველ საათზე. თუ არ მოვიდა ანუ მე შევამცნიე იმის ქცევაზე, რომელ თქვენ გითქვამთ რამე, მაშინ სრულებით დარწმუნებული იყავით, რომელ (სანტიმენტალნის) საგრძნობელნი მიწერმოწერა თავისას აღასრულებს.... მაშინვე ნება მომეცით მოგახსენოთ ღამე მშვიდობისა.

ლაბუასიერმა დაცინებით დაუკრა თავი ქალს, რომელიცა მის თვალში იყო დაცემული, და მივიდა ფანჯარასთან. უნდოდა უკვე წასვლა; გარნა უეცრათ მობრუნდა.

— კარგა მომაგონდა უთხრა მან:— ზეგ თქვენთანა ვარ სადილად. მე ჩემს სიტყვას აღვასრულებ, იმ იმედზე, რომელ თუმცა ცოტა არეულობა მოხდა დღეს, მაინც თქვენ მიმიღებთ აღრინდელივით კეთილსულობით.

მადამ ბალიელმა არა მიუგო რა; იგი იყო მკვდარსავით. ლაბუასიერმა კიდევ შეხედა მას სიმძულვილით და ახადა ფარდას. რა გავიდა მინუტი, ფანჯარა ნელა მოიხურა და იგი წავიდა ყოვლის რისამე შეუმთხვევლათ.

ვ.

პირჳელ ციების შემდეგ; მადამ ბალიელ სჩქაროთ ადგა, აქეთ იქით დაათვალიერა, ფაციფუცით წამოისხა შალი და გა-ვიდა ოთახიდან. რა გაიარა კორრიდორი, დარწმუნდა იგი, რომელ არავინ იყო მოწამე იმის დაცემისა. ბენუა მოდიე წავიდა ისრე, რომელ არაფერი მიზეზი არა დააგდო რა, რა-თა შეენიშნათ იმისი კარებს უკან ყოფნა. მან ქალმა ნახა, რომელ სულ ერთიან კარები ღია იყო. როგორათაც ადრევ; ამისთჳს არა დაუშლიდა რა მას თავის ოთახში მისვლას. გარნა იქ ღონე მას სრულებით მიელო და თითქმის დაეცა სკამზე. ადოლფინა სამი საათი იმყოფებოდა საშინელს მწუ-ხარებასა და ტანჯვაში, და თითქმის რომ არ ეძინა სოფაზე; გარნა კარების გრიალმა გაუფთხო ძილი, და დაჯდა ხმა ამო-უღებლათ ელოდა გაბედვით ახალს ბუქსა.—

დედა და ქალი რამტვენიმე ხანი ისხდენ ერთი ერთმანეთის პირ და პირ უძრავათ და ხმა ამოუღებლათ. შესაძლებელი იყო გეფიქრათ თითქო მათ ეძინათ, თუ მათი დაღრუბლული შე-ხედვა ერთი ერთმანეთისას არ დაემტკიცებინა წინააღმდეგი. თუმცა ადოლფინას არა ჰქონდა ეჭვი თავის დედის სისუსტე-ზე; გარნა რაღაცა შინაგანი გრძნობა ეუბნებოდა მას რო-მელ დედასა თჳსსა შინა დაინახავდა თჳთ შეუწყალებელს და უსამართლო მსაჯულს. თავისი მხრით მადამ ბალიელ ხედამ-და ამ მშჳენიერ ქალში პირჳელს მიზეზს თავის შეწუხები-სას, ხანდის ხან თითქო ავიწყდებოდა, რომელ იგი იყო ქა-ლი მისი და ხედამდა მას მხოლოდ რაყიფათ; მაშინ შეხედვა

მისი აღენთებოდა სიმძულვარის ცეცხლითა და უკლამდა გულს შეშინებულს ადოლფინას.

ორითავე მხრით იყო შეურყეველი სევდიანი სიმყუდროვე, ყოველს მინუტს უფრო და უფრო ემატებოდა სევდის მომგვრელი, უფრო შესაწუხებელი და გაუძლებელი სიჩუმე. მადამ შოდიემ გაბედა ბოლოს ამა სიჩუმისა გატეხა.

— ნება მექნება ჩემ ოთახში წასვლისა? უთხრა მან ნელის ხმით, რომელიცა ისრე წინააღმდეგად აჩნდა ესე სიტყუანი მორჩილებითისა სასესა.—

მადამ ბალიელს მოუვიდა ფიქრი, რომელიცა მხოლოთ მოუვათ იჭვიანთ და შურიანთ: «იქნება ის არ წასულიყოს!» ფიქრობდა იგი: «და იქნება მე რომ გამოველ ისევ დაბრუნდა!»

— თქუენს ბრძანებას ველი, უთხრა ადოლფინამ უკმაყოფილო დედის სიჩუმეზე.დ

მადამ ბალიელ უნდობლათ შეხედა მას:

— ხომ ხედამ რომ ავათა ვარ უთხრა მან. გარნა თქუენთჳს ძნელია ერთი ღამე უთიოთ შეწუხებულს დედას?

— ვინც ავათ არის ის ყოველთჳს ცდილობს დაწოლას, უთხრა ადოლფინამ წყენით.

მადამ ბალიელ ადგა დიდის გაჭირვებით და გაიარ გამოიარა ოთახში. მძრწოლარე ციებისაგან. თუმცა შვილური სიყუარული ძრიელ ნაკლებათ იყო გულსა შინა ადოლფინასასა, გარნა რა ნახა სისუსტით ძლივ სიარული დედისა, არ იყო რომ არ შეწუხდა.

— რა რიგათა განკალებთ! უთხრა მან და ჩქარობდა დაჭე-რასა მისა.— დაჯექით, მადლენას დაუძახებ; იმან უფრო უკეთ იცის ჩეეზე რაც საჭიროა. თქვენ ჰსწორეთ გაცი-ებთ.

— არაფერია, საჭირო არავინ არის ჩემთჳს უთხრა მადამ ბალიელ და დაწვა, ნებაც არ მისცა თავის ქალს ტანისამოსი გაეხადნა მისთჳს.

ადოლფინა ხელ ახლად დაჯდა სოფაზე, და ორთა ქალთა ისე ულაპარაკოთ გაატარეს მთელი ღამე. ამა ორთა ქმნილე-ბათა შორის, რომელნიცა ბუნებით იყვნენ ისრე ახლო და-გავშირებულნი, დიდო საშინელი სამძღვარი. ამ სამწუხარო ლაპარაკში, სადაც ესლა უფლებდა ჯავრი და ეჭვი აღარ იყო არცა დედა არცა ქალი. აქ მხოლოდღა იყვნენ ორნი ქალნი ერთი ერთმანეთის რაყიფნი.—

პირველმა სხივმა მზისამან, შიში ეჭვისა განფანტა მადამ ბალიელის გულში.

— დაიღალეთ უთხრა ადოლფინას:— დაიძინეთ: მეც ვეც-დები ძილსა.

მადამ შოდიე საჩქაროთ წავიდა თავის ოთახში, იმედეული იქ მაინც მოესვენა პატარა.

რამდენსამე საათს უკან უფალი ბალიელ შევიდა ცოლის ოთახში და დადგა გაკვირვებული მის ავათ მყოფურის სახისა გამო.

— მე გავიგონე, რომ ადოლფინა მთელი ღამე შენთან ყო-ფილა, უთხრა მან მონაწილეობით, რატომ მე არ დამიბარე?

მე თავს არ დაგანებებდი; ქალზე მე უფრო მხნე არა ვარ.

ამ უეცრებამ სიამოვნების მაგიერ, უფრო გააჯავრა ავათ მყოფი. წინადღეს იმტვენი შეურაცს ყოფა აიტანა და ახლა რა ნახა ქმარი თჳსი, სელ ახლათ განეღვიძა მასში სიანჩხლე საწყალი თითქო განგებ მოვიდა, ამისთჳს, რომ თავის თავზე მიეზიდნა ავდარი წყრომისა.

— გუშინდელმა თქუენმა კერპობამ მიყო ესა, უთხრა მან წყენით.— თქუენმა გუშინდელმა სულელურმა ლაპარაკმა ციება მომგვარა. ახლა კმაყოფილი სართ თუ არა?

— მაშ ჩემო საყუარელო. უთხრა მორჩილებით უფალმა ბალიელ:— დაგავიწყდა? მე აღვასრულე ყოველივე, რაც შენ გინდოდა. ლაბუასიერმა მიიღო დღეს ათი ათასი ფრანკი.

ამ სახელზე მადამ ბალიელ შეძრწუნდა.

— ვინ გითხრათ, რომ აგრე ჩქარა მიეცითო?

— თუ არა ვცთები შენ თითონ, მიუგო ქმარმა, გაკვირვებულმა ცოლის კითხვაზე.

— მე მაგაზე ერთი სიტყუაც არ მითქუამს, მე სრულებით თქუენთჳს დრო არ დამინიშკავს; თქუენ ყოველთჳს სხუა რიგათ გესმისთ ჩემი სიტყუა.

— ჯერ არ მიმიცია, დაიყვირა საწყალმა სიამოვნებით, რა გაიგონა ესე სიტყუები და რომელსაც არ უნდოდა ათი ათასის ფრანკის გადაყრა რაღაც წაუხდენელ პარახოდების აქციების სასყიდლათ:— თუ შენ გნებავს, შენ ერთი სიტყუა მითხარ, და ეხლავ მივწერ ლაბუასიერს, რომ იგი აღარ მოელოდეს ჩემგან იმ ფულის მიღებას.

— მაგას ვინ გეუბნებათ? უთხრა მაღამ ბალიელ მწყრალის ტონით: მოაგონდა მუქარის სიტყვები თავის საყვარლისა.

— შენ ხომ იცი, რომ ის ფული მე მაქვს, მიუგო საწყალმა მოხუცმა:— მხოლოთ ეს არის, რომ შოდიეც უთუოთ ნდომობს აკციებს და ორმოცდა ათი ათას ფრანკს აძლევს, და ამ სახით ჩვენი ერთიან ქონება ლაბუასიერის ხელში იქნება, ამას კი ნუ იფიქრებ, რომ მე იმაზე უკვე მქონდეს, მაგრამ ცუდია ჩადება ერთიან კუწრცხებისა....

— შოდიე აკციებს ყიდულობს? დაიყვირა მადამ ბალიელ, შეცრათ ამდგარმა.

— ორმოცდა ათი ათასის ფრანკისას; განა არ გითხრა იმან შენ?

— როდის აძლევს?

— დღეს შოდიე ეხლავ მიდის კიდეც.

— წადი ესლავ ამასთან და ამ მინუტში აქ მოიყვანე, უთხრა ავათმყოფმა ასეთის ტონით, რომელ ქმარი მორჩილების მაგიერ, დარჩა კრავატთან პირ ღია.

— რაღას უყურებთ? დაუყვირა მშასხეთ.

— მივდივარ, მივდივარ, ჩემო მეგობარო; ნუ ჯავრობ, უთხრა მოხუცმა და წავიდა საჩქაროთ.

— შოდიე მარტო მოვიდეს! მიჰყვირა ქალმა უკან.

ათი მინუტის შორის, რომელიც გავიდა მანამ ქმარი წავიდოდა და ან სიძე მოვიდოდა, მადამ ბალიელ გასინჯა რაც სა-

შინელი უფსკრული ელოდა მას. რა ნახა რომელ მისთჳს ყო-ველივე იყო დაკარგული, ბოლოს განსწირა თავი თვისი ყვე-ლასთჳს, რაცა საჭიროება ითხოვდა და თუმც ცოტა რამ იყო, მაგრამ შველის იმედი იყო.

— ახლა მივხვდი იმ კაცის შავ გულს, ფულია იმისი სასუფეველი! მე იმისთჳს უყუარდი, რომ ჩემით გადეტა-ნა თავის თჳს ყოველი ქონება ჩუენი; დღესაც იმის იმედი, არის რომ ჩემზე ისევ მოქმედება აქუს, რომელ უთუოთ ხელს მა-მაწერინებს ჩემს დაღუპაზე; ეს კიდევ არაფერი: ჩემი სიძის სიმდიდრეც მაქუს! ადოლფინა მისთჳს არის, როგორათაც მე, ამ საქმეში პირუელი იარაღი. საწყალი ქალია! იმასა ჰგონია, რომ უყუარდეს ისა! განა მე უყუარდი?.... თუ ის წიგნები იმის ხელში დარჩა, მე დაღუპილი ვარ! რა ისინი ხელში უჭირავს, იმედი აქუს ჩემი მორჩილებისა, რომელი დედაკაცი დადგება უნამუსობასა და სიღარიბესა შორის? რაც უნდა იყოს ის წიგნები უნდა უთუოთ ჩავიგდო თუნდა ოქროს წონათ კი არა, სისხლათაც დამიჯდეს.

ქალები თუმცა არ გადიან დოელში, და უბრალო საქმეთ სთვლიან ამ ნაირსა შემთხუევას; გარნა კაცნი თჳთ უმსნე-სნი რიგათ მიიღებენ. ქალი რომელსაც გულს შამოეყრება ქინძის თავსაგან, ის შემცოდეთ შერაცხს იმ კაცს, რომელიც დოელში გამოითხოვს და არ გავა. ეს სივაჟკაცე კარსეტში უფრო ბეჯითდება, ამისთჳს, რომ მათთჳს საშიში არა არის რა. ამ გვარ რომანიულის ვაჟკაცობა ქალებისათჳს დუელი პი-რუელი ღონის ძიებაა, რათა მით აჩუენოს თავის კეთილშო-ბილება.

რამთვენსამე მინუტის შემდეგ, მადამ ბალიელმა გარდასწყჳტა, რომელ იმის სიძემ ლაბუასიერი უნდა დოელში გამოითხოვოს.

უეჭველი მიზეზი დოელისა იქნება იმისი წიგნები, როგორც წაეკითხა მას ბევრს რომანში. რა საკჳრველია მცა და ქვეყანა იქნება სიმართლის მხარეს და დაჭრილი ლაბუასიერ მისცემს წიგნებს. თუ ვინიცობაა, უბედურობა იქნება და მოდიე დამარცხდება, მაინც მაშინაც ის საქმე მეტს ველარასა იქს, რომელიც მას აშინებდა.

ამ დროში მადამ ბალიელ იმდვენათ შეიმულა ლაბუასიერ, რამდვენსათაც აქამომდე უყუარდა, და სრულებით აღარა ჰსწერდა იმ საქმეზე, რომელიცა მისთჳს იყო საშიში, სანდისხან ეგონა მას ქალს, თითქო ხედამდა წინაადმდეგსა თჳსსა, მძიმეთ დაჭრილსა, რომელიცა უკანასკნელს სულს ლევდა იმის ფეხ ქუეშ, როგორათაც მონადლე ფეხ-ქუეშ ხრისტინისა, და ტყუილათ იხვეწდა მიტევებასა. ახლა ჰენუა შიდიეს უნდა შეეტყო: ამტვენს ერთგულებას აჩვენებდა, ან სხჳს საქმეს იკისრებდა,

იმის ფიქრით სიძე იყო ძალიან უსიამოვნო. პირი თვალისათჳს გარნა საჭირო შინაობაში,— პირი, შემდგარი ხორცის და ძვალთაგან, სახმარი მხოლოდ, სტოლზე ხორცი დაეჭრა, შალი, მანტილია ეტარებინა, აღესრულებინა ბძანება კარეტის მოტანისა, ხმა მაღლა ჟურნალის კითხჳა და სხჳანი. სხჳა შემთხჳვაში უმაღლესი სამსახური ჰქონდა მას, როდესაც ფული შემოაკლდებოდათ; მაშინ ნება ჰქონდა იმას თავისა საკუთარი ფულის მირთმევისა; ყოველ მათ აზიდაზე თავი უნდა მოეკ-

ლა, და ამისთჳს მოდიე ბრიყვი იქნებოდა, თუ სიამოვნებით
არ აღასრულებდა ამ თანამდებობას. მადამ ბალიელ ამაზე სრუ-
ლებით გულ დაჯერებული იყო და ელოდა მხოლოდ თავის
ფალავანს. ფალავანმაც არ დაიგვიანა მის წინაშე მისვლით თა-
ვის მუდმივის მძინარე დაუდევნელის სახით.

— პარიჟში მაბარებთ რასმე? ჰკითხა მან და დადგა რამ-
ტვენიმე ბიჯით სიდედრის კრავატთან.

— მე უფრო დიდი საქმე მაქუს მოსალაპარაკები, მიუგო
მადამ ბალიელ ზვაობით:— გარნა პირუელათ უნდა შემომ-
ფიცოთ, რომ არავის ეტყჳთ, ამ ჩემს ლაპარაკს.... გესმით?
ასე გასინჯე ნურც თქუენ ცოლსა.

— ტყუილათ დარიგებისა თჳს თავს იტკენთ: ქალებს მიდ-
ღეში იმისთანა სალაპარაკო საქმე აქუთ, რომელიც ყოველ-
გან და ყველასთან ითქმის.

— ეგ თქუენი კანონია? უთხრა ადოლფინას დედამ, გაკ-
ვირვებულმა სიძის პასუხისაგან.

— ეს ბრეტონის ადაზაა, მიუგო ბენუა მოდიემ.

— შავგრემანმა და ძვლიანმა ხახემ ყმაწვილის კაცისამ მი-
იღო ცივი გადაწყუეტილობითი გამოთქმა, რომელმანცა დი-
დათ იმოქმედა მადამ ბალიელსა ზედა. იმ ქალს ეგონა თით-
ქო პირუელათ ხედამდა თავის სიძეს, და რა მოაგონდა რა-
საც როლს იმას უნიშნამდა, იმედი იყო, რომელ ის აღასრუ-
ლებდა ყოველსავე.

— გამიგონეთ, უთხრა მან ბრძანებლობით:— და ყოველ
ჩემს სიტყუას ეცადეთ მისვდეთ. ქსლა რომ დედა თქუენი

ცოცხალი იყოს და ის შეურაცხყოს ვინმე, თქვენ არ დაიფარავდით? არ იხმარებდით ყოველს სიმხნეს მეცადინეობას, რომელიც ღმერთმა მოგცა, რათა დაიფარო დედა შენი და მის გულისათჳს სისხლი იძიო?

— აღვასრულებდი ვალსა მიუგო შოდიემ.

— დედა თქვენი გარდაიცვალა, ამბობდა მადამ ბალიელ როგორიღაც საბრალოებით:— გარნა ქორწინებამ მოგცათ თქვენ სხვა დედა, რომელიცა, თუმცა არა ადარებს თავსა თჳსსა პირველთან, მეცადინეობს რაც შეუძლიან, რათა დაიჭიროს ალაგი მის პირველისა, და თქვენდამი აქვს ჭეშმარი-სიყვარული....

ბენუა შოდიემ სტყორცა შეჴედვა, რომელიცა ცხადათ ამბობდა: «არ ვიცოდი თუ მე თქვენთჳს აგრე ძვირფასი ვიყავი»; შემდეგ დაუკრა თავი სიტყჳს უთქმელათ.

— შემდეგ ნათესაობითისა სისხლისა, რომელიცა უპირველეს არს, ამბობდა მადამ ბალიელ,— არისღა უწმინდესი მისა, რომელსაცა შეადგენს ურთი ერთი ბედნიერებითი და ღირსა შეუღლებას, ჩემი ქმარი და მე თქვენ გიყურებთ ისე როგორათაც შვილს და დარწმუნებული ვარ, რომელ შემთხვევაში თქვენ აღასრულებთ ვალსა თქვენსა.

— მე მგონი, მიუგო თავმდაბლათ შოდიემ.

— დარწმუნებული ვარ მე თითონ ესრეთ: რომელ თქვენ პატიოსანი და კეთილ შობილი კაცი ხართ! ნამდვილი ბრეტონელი!

შვილმა ბრეტონისამ მიუგო ამა ქების სიტყვაზე მეორე

თავის დაკვდით, უმეტეს ორნაირათ მისაღებითა, როგორა-თაც პირჳწლი.

— მე რომ გითხრათ თქჳენ. შოდიე: ერთმა კაცმა მძიმეთ გამკიცხა, ღრმათ და სასიკჳდილოთ: მტერია იგი ჩემი, მის-გან ყოველს საშინელებას უნდა მოველოდე. ჩემი ქმარი მო-ხუცებულია, ვაჟი შვილი მე არა მყავს, თითონ მე ერთი შე-უძლებელი დედაკაცი ვარ; თქჳენ მხოლოთ შეგიძლიანთ ჩე-მი მორჩენა, თქჳენგან მოველი დაცვასა და მორჩენასა; რას განიზრახამთ ჩემო სასურველო? მითხარით....

ბენუა შოდიემ მაღლა აიღო თავი, ჭერს შეხედა, ხელები ჟილეტკის ქვეით დაიწყო და რამთენჯერმე ცერებით ერთი ერ-თმანეთზე დაატრიალა ღრმათ ამოიოხრა.

— რას ვიქმოდი? ჭეშმარიტათ არ ვიცი, უთხრა მან რამ-თანსამე სიჩუმის უკან.— მგონი თქჳენ ვალდებული ხართ მითხრათ მეც როგორ უნდა ვიმოქმედო მაგ შემთხჳევაში.

— ვეჟო! კაცი ხართ და ვერ გიპოვნიათ რაც უნდა მიპასუ-ხოთ ჩემს ვითხჳაზე? უთხრა ქალმა, ახლათ კიდევ გაანჩხლე-ბულმა სიძის ისრე ძაბუნად მოქცევისა თჳს.— თქჳენ გეუბ-ნებიან შეუნდობელს გაკიცხვაზე, შიშზე, სიცოცხლეზე, და სიკჳდილზე— და თქჳენ არ იცით რა უნდა ჰქნათ! იფიქრეთ კარგა; უთუოთ ვერ მისვდით ჩემს ლაპარაკს?

— დიას, სრულებით არა მიუგო, შოდიემ საკვირველის ცი-ვის სისხლით.— ბრტონელები პატიოსანი არიან, როგორა-თაც თქჳენ წელან ბძანებდით; გარნა ცოტა ჭკჳა ნაკლებნი არიან; ამაში მეც ჩემ მემამულეთაგან არ ვერჩევი. თუ თქჳენ

ცოტა გარკვევით მიბძანებდეთ იქნება მაშინ მივმხვდარ ვიყავ.

— ყბაში რომ შემომკრას ვინმე, რას იქმოდით მაშინ? უთხრა გაწყუეტით ადოლფინას დედამ.

— მე ორსავე ყბაში შემოვკრავდი, მიუგო ბრეტონელმა.

— დუელშიაც გამოითხოვდით თქუენს შეურაცხს? დიახ!... მე დაგიმტკიცეთ თქუენ, რომელ კავშირი შემაერთებელი ჩუენი, ჩემსა და თქუენსა შეურაცხ ყოფასა საზოგადოდ ხდის. მე გაკიცხული ვარ, მაშა სადამე ეს თქუენი გაკიცხვაც არის, გესმით?

— ახლა ცოტა არ არის, რომ არ მივხვდი, რაშიაც არის საქმე; თქუენ გინდათ ჩემი დოელში გასვლა? გარნა მაგაზე ნება მომეცით მოგცეთ ცოტა ოდენი შენიშვნა.

— ბძანეთ უთხრა მადამ ბალიელ, და სახე მისი აპრიალდა.

— ეს ორი თვე იქნება, მიუგო შოდიემ ჩვეულებრივის ცივის სისხლით:— ჩუენ ვიყავით სასტუმრო ოთახში. მე დივანზე მთვლემდა; თქუენ გეგონათ, რომ მე მეგონა, და ეუბნებოდით ადოლფინას «შენ ხშირათ ჩიოდი, რომ შენი ქმარი სულელი იყო და უსიამოვნო; მართალია; გარნა მას არა აქუს არც ძალა ნებისა, არც ძალა ხარაკტერისა; და ეს არის პირუელი. შენ რასაც გინდა იმას უზამ. სულელი ქმრის ყოლა სჯობია, რომელიც ცხვირით იტარება, მინამ კარგს მოლაპარაკეს, რომელიც შენი ბძანებელი იქნება».

— მე ეგ არ მითქუამს! გააშვებინა მადამ ბალიელმა გაწითლებულმა ყურებამდე.

— უკაცრავათ, ბძანებლით. თქუენი სატყუებიდანვე ჰსჩანს, რომელ მე არც ნების ძალა, არც ხარაკტერისა არა მაქუს, ამისთჳს მე გაკვირვებული ვარ, რომ მე თქუენ მაგისთანა როლს მაძლევთ, რომელიც ითხოვს ორსავე მაგა ღირსებათ.

მადამ ბალიელ ტუჩზე იკბინა დ̃ გულში წყევლიდა თავის გაუფთხილებლობას.

— თქუენ კიდევ პასუხი არ მოგიციათ ჩემ კითხუაზე, უთხრა ქალმა შემდეგ მცირედის საჩუმისა.

— პასუხი გნებავთ? ბატონი ბძანდებით, მიუგო შოდიემ აურევლად.— იმავ თავით რაც მე ჯუარი დავიწერე, მე არ გამოვსულვარ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც თქუენ დამაყენეთ. სრულებით უფლებთ თქუენს ქალზე, ხოლო ჩემს ცოლზე, დ̃ თქუენ იმას ხცარებთ თქუენს რჩევაზე. მაშა სადამე აქ თქუენ სრული ბძანებელი ხართ. მე თითქმის არ შემიძლიან სადილათ ჩემი მეგობარი მოვიწვიო, თქუენ ბძანებაზე არიან დ̃ არა ჩემზე; სახლში, ბაღში, ყველგან სადაც კი შეიძლებოდა რამ, თქუენ ყველა შესცვალეთ; არა მკითსავდით არც რჩევას, არც ჩემ თანხმობას; ერთი სიტყჳთ მე აქ ნული ვარ ( არასა მნიშვნელი ). მე მაგაზე არ ვჩივი; მაგრამ თუ მე მაძლევენ თანამდებობასა რასმე, მაშ ვალდებულნი არიან მომცენ სარგებლობაცა იქიდან. მე თუ უფლება მქონდეს სახლობაში დ̃ გეთქუათ ჩემთჳს: «სიძე! აი რა მოხდა; ეს თქუენი საქმეა». მე გეტყოდით: «დიახ, ეგ მე შემეხება» მაშინ საქმესაც შევუდგებოდი; გარნა რადგან აქ უფლებს კვირისტავი მაშა სადამე თავის თავი თჳთონვე დაიცოს, მე იმის საქმეში არ გავერევი.

— ჵ, რა შემცდარი ფიქრი მქონდა თქუენზე! უთხრა მადამ ბილიელ სიანჩხლით. — თქუენ სუსტი დედაკაცი და არა კაცი ხართ; ახლა მე თქუენ პირუტლსავე სიტყუაზე შეგატყუეთ.

— განა, მეც მეორე ქმნილება ვარ უფალი ბალიელისა?

— წადი უფალო! დაიყვირა ანთებულის სიანჩხლისაგან თვალებით: — მე არასოდეს არ მოვითმენ, რომ ჩემ წინ აგრე გაკიცხოთ თქუენი სიმარი.

შოდიემ მესამეთ მდაბლათ თავი დაუკრა.

— სხუა არა გნებავთ რა ჩემგან? ჰკითხა მან ცივის სისხლით, რომელიცა, უფრო აანჩხლებდა სიდედრს. —

— სულელი, მხთალი! თქუა მან კბილებთა შორის, ასე რომ შოდიემ გაიგონა.

— ეს ძალიან მოსახდენია ბებერი მოარშიყესთჳს, (кокетство) უთხრა ყმაწვილმა კაცმა და წავიდა კარებისაკენ.

მადამ ბალიელ შეიძრა, რათა წამომხდარ იყო ქუეშაგებიდან, გარნა სისუსტით გადიქცა ბალიშებზე, წარმომთქმელი გაუგებელთა რათამე სიტყუათა. შემდეგ იმისა შოდიე წავიდა სტოლოვის ოთახში. სადაც სიდედრის ნახვის წინ საუზმეს ჰსჭამდა და ვერ შეასრულა, თავის სიმამრის მიხვლით, რომელმაც გააშვებინა. ეხლა რა მოილაპარაკა სიდედრთან ხელ ახლათ დაჯდა იგი სტოლზე, აიღო ერთი ნაჭერი ბაიონის ლორისა, დაისხა სტაქანზე ღვინო და ამ სახით შეექცეოდა საუზმეს საკვირველის კარგის მადით. სტაქანს უკუსცლიდა იგი, როდესაც უფალმა ბალიელ გააღო კარები სადი-

ლის ოთახისა და კიდევ შევიდა მასთან საიდუმლოს სახით.

— რა ანბავი? პირველი კითხვა ეს იყო: — რა ილაპარაკეთ შენ და ჩემმა ცოლმა?

— ჩვენ ლაბუასიერის აქციებზე ვლაპარაკობდით, დაიწყო შოდიემ დამსხმელმა მადერის ღვინისა.

— მე მაშინვე ეგ ვიფიქრე. რომ თჳსი განზრახვა არ გამოსცვალა?

— მანამ არა. ეხლავ ამ საუზმის შემდეგ პარიჟში წავალ. მართლათ თქვენა გაქვთ ის ათი აქცია, რომელიც აილეთ რამთვენიმე თვის წინ?

— დიახ, მე მაქვს ბუმაჟნიკში, და მან ამოიღო ჯიბიდან.

— აი კალამი და საწერილი სტოლზე, მიუგო შოდიემ: — გთხოვთ ჩემ სახელზე გადმოიღოთ ეგ აქციები; მე ავიღებ იმ ანგარიშში, რომელიც ორმოცი ათასი ფრანკი გმართებთ.

— მოხუცმა საჩქაროთ გახსნა ბუმაჟნიკი და ამოიღო ათი ფურცელი. სიამოვნებით ჩქარობდა მიეცა თავის სიძისათჳს; კალამი უკვე ამოავლო, გარნა უეცრად შედგა, და ხელი მისი ჩამოეშო.

— მაშ ყველაფერზე თანახმა ხართ ჩემ ცოლთან. დაიყვირა მან შემხედველმა სიძისა.

— რა საკვირველია, მიუგო შოდიემ. — ჩვენ ყველაზე თანახმანი ვართ, ხელი მოაწერეთ ჩქარა; გვიანდება; მე პირველ საათზე უთუოთ ლაბუასიერთან უნდა ვიყო.

დამშვიდებული მოხუცი დაფაცურდა წინაამდეგ ჩვეულებისა.

— აჰა, უთხრა მან ხელის მომწერმა: — ახლა თქვენილა მმართებს ოცდა ათი ათასი ფრანკი. გარნა გამიგონეთ მე, საყვარელო შოდიე! კარგათ იფიქრეთ ლაზუასიერთან ალებ მიცემობა; ეშმაკი კაცია, თქვენზე მეტათ შემძლებელია, მომეტებით შემძლებელი. ოქროს მთებს დაგპირდებათ; ხოლო მომეტებულსათ ნუ მიენდობით. თქვენ ალაგს ერთი კიდევ შევიტყობდი იმ პარახოდების ამბავს. იფიქრეთ: ორმოცდა ათი ათასი ფრანკი სასხუმარი არ არის; ძირს რომ იდოს ვერ ასწევთ!

— მაგაზე ნუ ჰსწუხართ, მიუგო შოდიემ სიცილით: — მე ჰხედავ რომ ძალიან ცუდი გამოხატულება გქონიათ ჩემ თავზე; გარნა იქნება მე ისეთი სულელი არ ვიყო როგორც გგონიათ.

სიმამრის პასუხს აღარ მოუცადა, გამოვიდა სტოლოვის ოთახიდამ შოდიე და ათს მინუტს შემდეგ იგი უკვე იყო პარიჟის გზაზე. დაჰკრა თუ არა პირველი საათი ბირჟაზე, ისიც შევიდა ლაზუასიერთან, რომელიც იდგა ნევ—ვივიენის ქუჩაზე.

## ფ.

ლაბუასიერის ოთახები არ იყო დიდრონი, გარნა ჰქონდა ის სიბრწყინვალე, რომელიცა წარმოადგენს მდიდარს კაცს. მებლიროვკაში ეტყობოდა სიმდიდრე, პირველსავე შეხედვაზე თვალს ეცემოდენ, რომელნიც ისე მოსწონთ ვიეთთამე ხარისხთ ხალხთ არამც თუ გემოსთჳს, არამედ ანგარობისთჳს, ლაბუასხიერ ასეთ მდიდრულ ოთახში იდგა, რომელ რაც უნდა ფთხილი მოანგარიშე ფულის პატრონი ყოფილ იყო, რა ნახამდა იმის ისრე მდიდრულად დგომას ყოველი ეჭვი დემეგარგებოდა. ერთს სიმღერაში ერთი მოლექსე მადლობას ეუბნება თავის სერთუკს; ლაბუასიერ უნდა მადლობა ეთქვა თავის მდიდარ ოთახებისათჳს, რომელნიცა მომეტებულად აცდუნებდენ გაუფთხილებელთ მონისავეთ.—

თუმცა წასრული ღამე არ იყო მისთჳს მოსვენებითი, რომელშიაც სამ საათს გათენებამდე მღვიძარეობაში გაატარა, მაინც დიდი ხანია რაც იგი იჯდა უკვე თავის ბიუროსთან. აბრეშუმის მწვანე ხალათი ეცო, თეთრი კაშემირის შარვალი, ფეხებზე თალათინის ტუფლები, თავზე ეხურა კიტაიის სახიანი ქუდი. პირველზე ეს ჩაცმა მოქმედს კაცს გააკვირვებდა; გარნა ასლა, რომელნიც ხაზინაში მსახურებენ, დეზებით დადიან, ამისთჳს ტანის სამოსი ჩვენის აფერისტისა არ იყო გასაკვირვალი.

მრგვალ სტოლზე, კაბინეთში, სხვათა ქაღალდთ შორის იდო პლანი, რომელიცა წარმოადგენდა შინაგანისა და გარეგანისა სახეობასა მის წაუსდენელის ატლანტიის პარახოდებისა.

ჰსწორე უნდა გითხრათ. ძალიან მშჳენიერათ იყო შეხამებუ-ლი, თუმცა მათი არსება მხოლოდ ქაღალდზე იყო ჲ ჯერ არც ერთი ხომალდი ზღჳაში არა ჰსჩანდა.

სადაც ლაბუასიერ ჰსწერდა იმ ბიუროს ბოლოს იდო პოტ-ფეილი (იასნოვოზანი) წითელი თალათინისა. ღია იდო ჲ მას შინა ჩნდა, სხჳათა მრავალთ ქაღალდებთა შორის, რამ-ტვენიმე ბანკის ბილეთები. ეს უმეცართ ხალხის მისაზიდავი მახე იყო: ფულის საქმეში, ფული ფულით მოიპოება.

ეტყობოდა, რომ მგელს მოემატებინა ახალი ბალახი, რა-თა მით უფრო ადვილათ მიეზიდნა ცხვარი, რომელსაც ელო-და. შოლიე, როგორც ჩჳენ უკჳე ვთქვთ, აღასრულა თავი-სი სიტყჳა. პირჳელ საათზე ჰსწორეთ, შევიდა იგი კაბი-ნეთში, საიდამაც თითქმის ყჳელანი მომეტებულათ თუ ნაკუ-ლებ გაყვლეფილები გამოდიოდენ. როდესაც კარები გაეღო ლაბუასიერ დააცქერდა წინაშე მისა მდებარეს ქაღალდებს ჲ მით აჩჳენებდა ღრმათ გართობასა საქმესა შინა; ამ მდგომა-რეობაში განატარა რამტვენიმე მინუტი, არა ყორის მგდებე-ლი მსახურის დოკლადისა (მოხსენებისა;) ბოლოს თითქო უეცრად შეხედა შოლიეს.

— ახ! უკაცრავათ, უთხრა მან, ფეხზე წამოუდგომლათ:— მე ასე გართული ვარ, რომ ჭეშმარიტად ვერ დაგინახეთ თქჳენ. გთხოვთ დაბძანდეთ. იმედი მაქჳს თქჳენ ნებას მომ-ცემთ წიგნის დაწერის გათავებისას?

— ნუ ჰსწუხდებით მე არ მეჩქარება, მიუგო შოლიემ, ჯდებოდა რა კრესლაში.

ლაბუასიერმა დასწერა რამთვენიმე ტრიქონი, დ̃ უთხრა დაუდევნელად მაღლა თავის ამღებმა:

— აიქ, სტოლზე ჩუ̂ენის პარახოდების პლანი მქვს. გასინჯეთ, მინამ მე წიგნს გავათავებდე. თქუ̂ენც მიიღებთ გამოსატულებას მათ გამართულობაზე.

შოდიე მივიდა სტოლთან დ̃ აიღო სურათი წაუხდენელის ორთქლის გემისა.

— ეხლა მზა ვარ თქუ̂ენის სამსახურისა, უთხრა ლაბუასიერმა მკეცავმა ღმერთმა იცის რაღაც წიგნისა.— გარნა მანამ ჩუ̂ენ საქმეზე დავიწყებთ ლაპარაკს, მითხარით: თქუ̂ენები როგორ არიან? ქალები ხომ მშვიდობით იმყოფებიან?

— ჩემი სიდედრი ვერ არის კარგა, მიუგო მართლათაც შოდიემ.

— უთუოთ ცუდათ გაატარებდა ღამეს?

— აგრე მგონია მეცა.

ლაბუასიერმა ძლივ შეიკავა ღიმილი დ̃ გაათავა მადამ ბალიელის ავათ მყოფობის ამბავი, გადვიდა იმ საგანზე, რომელიცა მისთჳს უთრო საჭირო იყო.

— გუშინ მე გელაპარაკეთ თქუ̂ენ, უთხრა მან დაუდევნელათ გაწოლილმა კრესლაში:— აკციებზე წაუხდენელის ორთქლის გემებისა; საკვირველათ გადის; თუ თქუ̂ენ რამთენიმე დღე დაგეგვიანათ, მაშინ გვიან იქნებოდა დ̃ ერთსაც ველარ იშოვნიდით! საქმე უცხოთ მოდის დ̃ უთუოთ კარგი მოქმედება ექმნება; გარნა იქნება თქუ̂ენ გსურდეთ შეიტყოთ რა არის ჩუ̂ენი ღონის ძიება დ̃ ბოლო რა იქნება ამა 'განძრახვისა

ბენჯა მოდიემ თანხმობისათჳს თავი დაუქნია.

— ერთის სიტყჳთ აი რაშია საქმე, დაიწყო ღინბუასიერმა დოღმატიურის ტონით: — თუმცა ამერიკამ დიდი საკვირველება მოახდინა დ დაუღგრომელი შრომა ანგლიისა, ჩუჱნში კიდევ ორთქლის გემების ხმარება ჟჯერ არ არის გავრცელებული. ამ შემთხუჱვაში ჩუჱნი საუჱარელი მამული ძალიან შორს არის დასრულებისა. ამ საქმის შესრულებით დიდი სამსახური ექნება მამულსა ჩუჱნსა; ხოლო განსაკუთრებითი ღონის მიება არს, რათა გაიმართოს ორთქლის გემები, რომლებიცა უნდა დაცურვიდენ ფრანციისა დ ამერიკის შორის. თქუჱნ არ გეგონსათ, რომ ჩემი აზრი იყოს რამე უბრალო სპეკულიაცია (ვაჭრობითი), არა მე წინათ მიცს განძრახუჱა ვრცელი..... გესმით?

— მე ვგონებ, რომელ თქუჱნს გმირულს წანაგანზრახჳასა, აქჳს პირუჱლ მხედველობად, დიდი ფულის მიღებისა? ამბობდა მოდიე მორცხვის სახით შაგირდისა, რომელიცა ჰკითხავს თავის ოსტატსა.

— უეჭუჱლად; პირუჱლი ძალღვი ომისა დ ვაჭრობისა ერთი დ იგივე; გარნა დიდი განრჩევაა! ომი აქცევს, ხოლო ვაჭრობა წარმოსცემს. ჩუჱნ აქ ვეცხლისა ვთესთ, რათა მოვიმკოთ ოქრო. წარმოვიდგინოთ, რომ საქმე სრულებით გაჩაღებულია. ჩუჱნ გავმართეთ ბორდოს შორის დ უოველ საჭირო მხარისკენ ამერიკისა: ნიუ-იორკისა, მეხიკისა, ანტილის კუნძულთა დ რიოჟანეიროსა დაუღგრომელი შეერთება, მკვირცხლი, ჰსწორე დ იაფი; დაუღგრომელი—, რა საკვირველია აქ იგულის ხმება; მხოლოდ საკმაო უნდა გაკეთდეს

გემები ორთქლისა, რაცა შეეხება სიმკვირცხლისა თქჳენ მალე შეიტყობთ საათში რაერთს დაჰსცურამს; უვნებლობას როგო-რათაც სახელივე თითონ ორთქლის გემებისა ამბობს, რო-მელშიაც თუ ვინიცობაა იწოდეს მაშინ ისეთი იარაღებით არის გამართული, რომელ მაშინვე წყალი დაესხმის და გააქ-რობს, გარნა პირჳელ ეს არის, რომ ჩჳენ ნახშირს როდი ვხმარობთ.

— ნახშირს არა ხმარობთ? მიუგო გაკვირვებით მომავალ-მა აუკციონერმა.

— დიახ. უპასუხა ლაბუასიერმა:— მხოლოდ უკაცრავათ ნუ ვიქნები, რომ არ გეტყვით იმას კი ნახშირის ალაგს რა-საც ვხმარობთ; ეგ ჩჳენი საიდუმლოა. ნახშირი ბევრს ალაგს იჭერს გემში, მისთჳს მომატებული საზდოს შენახჳა ძნელ-დება. ოკეანი ფოჩტის გზა არ არის, რომ ნებაზე საცა უნ-დოდეს ქარვასლები აშენოს. ჩჳენის ხერხით ეს წინააღმდე-გობა აღარ იქნება; მომეტებულს აღარას გეტყჳთ; თქჳენ თითონ წინათვე დაინახავთ სარგებელს ახალის მოგონებისა. პირჳელი მაგის თავდებნი: სიმკვირცხლის მომატება და ხარ-ჯის შემცირება.

ბენუა შოდიემ თავი დაუქნია, როგორათაც კაცი ყველაზე თანახმა.

— ეს ძალიან ადვილი გასაგე[illegible] ლაბუასიერ უფ-რო მომეტებულის დარწმუნ[illegible], რა ხედა[illegible], რომ მსმენელი მისი ისე ბეჯითად ასმენ[illegible] ყოველს სიტყჳს.— ეს ასე ცხა-დია, როგორათაც ო[illegible]თხია. [illegible]ისე ადვილია

განგრძელება შემდგომში.